# საბჭოთა ქალი

ივნისი
№ 6 1975 წ.





თბილისი. უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!



## საქართველოს სსრ
## ქ. რუსთავი
## რუსთავის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს

ძვირფასო ბავშვებო!

დიდად გმადლობთ წერილისათვის, რომელშიც მაუწყებთ თქვენს სასკოლო საქმეებს, სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას, საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნას.

დიდია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მნიშვნელობა, სასიხარულოა, რომ თქვენ სამშობლოს წინაშე შვილთა მოვალეობის დიდი გრძნობით ბეჯითად ამზადებთ თავს იმისათვის, რომ ღირსეულად ჩაიბაროთ მამა-პაპათა გმირული ესტაფეტა.

გისურვებთ წარმატებებს ცოდნის დაუფლებაში, შრომაში, სამხედრო-პატრიოტული მუშაობის კეთილშობილურ წამოწყებათა განხორციელებაში.

მიიღეთ, ძვირფასო ბავშვებო, ჩემი მხურვალე მოლოცვა ღირსშესანიშნავი თარიღის — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის გამო.

ლ. ბრეჟნევი

1975 წლის 7 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხეილ შოლოხოვი 70 წლისა

70 წელი შეუსრულდა საბჭოთა მწერლობის სიამაყეს — მიხეილ შოლოხოვს. წიგნები მისი მარად იარსებებენ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. რადგან ამ წიგნებს თანაბრად მოჰყავს აღტაცებაში მკითხველი ჩვენი პლანეტის ყოველი კუთხიდან. ისინი მაღალი საკაცობრიო იდეალებით არიან აღსავსენი. მათში მარად იმარჯვებს საბჭოთა ადამიანი, მისი მრწამსი, მისი ბრძოლა და სასახელო საქმენი.

მიხეილ შოლოხოვი ჩვენი რესპუბლიკის დიდი მეგობარია. საქართველოში მას მარად ეგულება მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი.

ვულოცავთ დიდ შემოქმედს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რასაც საბჭოთა ადამიანები ერთნაირი გულისთქმით ხვდებიან. ეს გულისთქმაა: — დღეგრძელობა მიხეილ შოლოხოვს!



**ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა დაჯილდოებულია საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით**

# საქმემან შენმა გამოგაჩინოს

ლოჭინის ხევის პირას, თბილისიდან ათიოდე კილომეტრზე, ხელმარცხნივ უნდა აუხვიოთ, რომ მეორე გზაზე გახვიდეთ. გზის გასაყართან რკინის ბოძია და იმ ბოძზე გაუკრავთ სანიშნო ფარი, რომელსაც აწერია: ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა.

მანქანა უცებ ავარდება ფარივით მოქნეულ ბექობზე, გადაივლის მომცრო, ბოგირისმაგვარ ხიდს და შევა ხეივანში. გზის პირზე ხეები დგანან. ის ხეები ნაყოფით რომ დაიხუნძლებიან, ტოტები მიწაზე დასთრევთ, გარშემო რაღაცნაირი მოტკბო და ნაცნობი სურნელება დატრიალდება — მსუყე და სასიამო.

ხეების მოპირდაპირე მხარეზე აგურით ნაშენი კოხტად გაწყობილი სახლებია. იმ სახლებს გარეგნულადაც კარგად ეტყობა, რომ მზრუნველი და მოყვარული ხელი არ აკლია. სულ თეთრად შეუფეთქავთ კედლები და ღია აივნები საჰაეროდ დაუტოვებიათ. საღამო ხანს აივანზე გამოვა მუშა-კაცი და თვალს წყალს დაალევინებს.

ამ სახლებში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ თავიანთი ოჯახებით. ცხოვრობენ მყუდროდ და მშვიდად. ცენტრალური გათბობა, სინათლიანი, ჯანსაღი ოთახები, მოხერხებული სადარბაზოები, სამზარეულო, სათავსოები... ერთი სიტყვით, აქაა ყველა ის სიკეთე, რაც კი ნორმალური ცხოვრებისათვისაა აუცილებელი. აქვე, ორ ნაბიჯზეა ბაგა-ბაღი. დედას შეუძლია მიიყვანოს ბავშვი ბაგაში და დასტოვოს მანამ, სანამ მას მოესურვება. გაიხსნა საექიმო პუნქტი. ამუშავდა აბანო. დაინიშნა სამგზავრო ავტობუსი ნორიო-თბილისის მარშრუტით.

ფაბრიკის ტერიტორიაზე, თვალშისაცემ ადგილზე დგას ადმინისტრაციული სახლი. იმ სახლს ვერაფრით ვერ აუვლი გვერდს, თუ საფრინველეებში შესვლა გინდა.

საფრინველეები კი ეგრეთწოდებულ „აკრძალულ ზონაშია“ მოქცეული და იმ „აკრძალულ ზონაში“ სათანადო ნებართვის გარეშე, ფეხს ვერ წადგამ. თუკი ნებას დაგრთავენ, თეთრ ხალათს მხრებზე წამოგასხამენ, საფრინველის შესასვლელში დაყრილ ნახერხზე ფეხს შეგაწმენდინებენ, ორიოდე წუთიც და საფრინველეში აღმოჩნდები, მაგრამ მავთულბადის აქეთა მხარეს.

რა კარგი შესახედავია საფრინველე: თეთრად გადაქათქათებული ვარიები, კვერცხისმდებელი დედლები, აქა-იქ გამორეული ყვინჩილები, შიგადაშიგ ყოყლოჩინა მამალი, ჩახლეჩილი ხმით რომ ჰყივის. სითეთრე... სითეთრე... სითეთრე... ასობით, ათასობით ფრთა ქათამი ერთად, ერთ ოჯახში (მეფრინველეთა ენით რომ ვთქვათ, ერთ გუნდში).

მერედა, ყველანი ერთნაირად ჯანსაღები, თითქმის ერთნაირი ზომა-წონისანი როგორღა არიან? დასუქებულნი, დალაღებულნი, გინდა, არ გინდა, ამათ შემყურე კაცს გუნება გაგეხსნება. ყოჩაღად იქნებიან, აბა, რა?! საჭმელი აკლიათ თუ სასმელი. მეფრინველე რომ ელექტროღილაკს თითს ჩამოჰკრავს, გალიებს შუა ჩაყოლებულ ღარებში სუფთა წყალი კამკამით ჩაივლის. საკვების მიწოდებაც მექანიზებულია. თითო-ოროლა ადამიანიღა კმარა, რომ ექვსი ათასამდე ფრთა ქათამი დააპუროს, დაარწყულოს, დააბუდროს და ჰაერი გაუსუფთავოს....

ასე და ამგვარად, პირველ რიგში ფაბრიკის დირექტორია სანახავი.

მისი მოძებნა არ გამჭირვებია. მერი მდივანი ადგილზე დამხვდა.

ფაქიზად და ხალვათად მორთულ სამუშაო ოთახში, საწერ მაგიდასთან ზის იგი,

მეფრინველეობის ფაბრიკის ერთადერთი დირექტორი ქალი რესპუბლიკაში. ზის არა ისეთი, რომლის საზრუნავია მხოლოდ მოდა, კაბის სიგრძე-სიმოკლე და თმის ვარცხნილობა, თუმცა არც ისეთი, რომელსაც არ ჰქონდეს ქალის იერი და არ იცოდეს ქალური სიკოხტავის ფასი. არა, მე იგი, როგორც იტყვიან, გუშინ და გუშინწინ არ გამიცვნია. კარგა ხანია ვიცნობ, ვიცნობ ოჯახით, საქმიანობით, ვიცნობ და ვაფასებ იმით, რითაც მარტო ქალი კი არა, საერთოდ ადამიანი ფასდება ამ ქვეყანაზე. თბილი, მოალერსე დედაა (ორი შვილი ჰყავს). ხელგამომავალი დიასახლისია. ასეთ დიასახლისზე იმერეთში იტყვიან ხოლმე: სტუმარს გუმანით გრძნობს და სახაჭაპურე ცომს წინასწარ იმარაგებსო. ყველაფერს ამას ისიც დაემატა, რომ ამ ბოლო წლებში კალმის მოხელეებმა ფაბრიკის დიასახლისიც შეარქვეს.

დიახ, ფაბრიკის დიასახლისი! მომწონს მე ეს შერქმეული სახელი, მომწონს და ვიმეორებ კიდეც.

სანამ აქამდე, ფაბრიკის მეთაურ-დიასახლისობამდე მოაღწევდა, საკმაოდ გრძელი გზა გაიარა მერიმ.

უმაღლესი დაამთავრა. რაიონში წასასვლელი საგზური მისცეს. წუნიაობა არ დაუწყია: აქაოდა ქალი ვარ, რაიონში მუშაობა გამიჭირდებაო. ადგა და ზოოტექნიკოსის დიპლომით მარნეულს ეწვია. ყულარის საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირად დანიშნეს.

გულისყურიანი და სამართლიანი ბრიგადირი შეიყვარა მთელმა რაიონმა, ხალხი ხომ ყველაფრის შემხედვარეა, ყველაფრის ამწონ-დამწონი და გამგები. ღვთისნიერი თვალი აქვს და ძნელად თუ რამეში მოტყუვდება.

ნათქვამია: ყველა კაცს თავისი საქმე გამოაჩენსო. ჰოდა, მერისაც თავისი საქმე აჩენდა. პატიოსნად შრომობდა. თუმცა ფერმაში მუშაობა არც თუ ისე სახარბიელო საქმეა (ალბათ, აქა-იქ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ფერმის გაგონებაზე ცხვირს მაღლა სწევენ). მითუმეტეს, თუ ლაპარაკია იმ წლებზე, როცა ფერმები ჯერ კიდევ რიგიანად არც კი იყო მექანიზებული და ყველანაირი საქმის გაკეთება ხელით უხდებოდათ: პირუტყვისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაც, ნაკელის გატანაც, ფურების ჩამოწველაც. დღევანდელ პირობებთან შედარებით, სადგომებიც უხეიროնი და პრიმიტიულნი გახლდათ. ამიტომ, ვერ ვიტყვი: ტკბილად ახსოვს-მეთქი მერის ის დღეები.

მუყაით გარჯაში დღე დღეს ცვლიდა. შრომა რომ დაუფასეს, ახალგაზრდა ქალმა მეტი შეღავათი იგრძნო.

მოხდა ისე, რომ საჭირო შეიქნა ყულარის დატოვება... და აი, პრაქტიკულ ცხოვრებაში საკმაოდ ჩახედული, გამოცდილი ახალგაზრდა სპეციალისტი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეფრინველეობის დარგის ზოოტექნიკოსად დანიშნეს. ცოტა ხნის შემდეგ უფროს ზოოტექნიკოსად დააწინაურეს. ბოლო წლებში კი საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში მეფრინველეობის მთავარ სპეციალისტად მუშაობდა.

მერის საქმიანობამ თავი არ დაიმალა. სადაც უმუშავნია, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია.

ბოლოს აგერ ამოდენა ფაბრიკა ჩააბარეს.

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა მაშინ უმთავრესად ზარალით ამთავრებდა თითქმის ყოველ სამეურნეო წელს. კაცმა არ იცის, რა იყო ამის მიზეზი. კოლექტივი თითქოს ჯანსაღად, საქმიანად გამოიყურებოდა. ადამიანები თავიანთ უბნებზე არც თუ ისე უხალისოდ მუშაობდნენ. შეიძლება აქა-იქ კიდევ ერია რამდენიმე უქნარა. იქნებ, როგორც ერთი წვეთი ნავთი თავის გემოზე წაიყვანს მთელ ქვევრ ღვინოს, ასე მიჰყავდა თავის უნიათო გზაზე იმ რამდენიმე კაცს მთელი კოლექტივი?

იქნებ, წინა წლებში რესპუბლიკაში გამეფებულმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ აქაც ჩამოუღონა. აქაც გაიდგა თავისი უდღეური ფესვი! თანაც ეს უსიამო ციფრი რაღაა: ექვსას ოცდათერთმეტი ათასი მანეთი ზარალი მარტო სამ თვეში... 1972 წელიც ხომ ასევე სამარცხვინოდ დაამთავრეს ნორიოელებმა.

„როგორ, რა სინდის-ნამუსით უნდა შეხედო ხალხს თვალებში, როცა სახელმწიფოს რაღაც ასიოდე დღეში ნახევარ მილიონზე გაცილებით მეტი მანეთით აზარალებ. რა არის ეს, თუ არა დანაშაული! არა, მხოლოდ უგულისყურობა არ ითქმის ამნაირ მდგომარეობაზე. რამ მოიყვანა ამ დღემდე ფაბრიკა, რომელიც თბილისის მოსახლეობის მესამედს ამარაგებს ფრინველის ახალი ხორცით, კვერცხით. თანაც ეს გალიები რასა ჰგვანან. სადღაა ახლა ამგვარი პრიმიტიული ხუხულები", — ფიქრობდა მერი მდივანი.

პირველსავე საწარმოო თათბირზე ახალმა დირექტორმა სწორედ ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზებისაკენ მიაქცია დამსწრეთა ყურადღება. მოითხოვა ნამუსიანობა და პატიოსნება, ასი ყური და ასი თვალი, რომ უმისამართოდ ფაბრიკიდან ერთი ქათამიც კი არ უნდა გამოფრინდეს (უმისამართობაში, ალბათ, მკითხველი ხვდება, რასაც გულისხმობდა). გეგმა კანონია და ის უნდა შესრულდეს. ამაზე არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი. უნდა განმტკიცდეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა. გზა გაეხსნას ახალს, პროგრესულს, მოწინავეს. განსაკუთრებული ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა მორალურ წახალისებასა და მატერიალურ სტიმულირებას...

ზოგიერთ მუშაკს ხელ-ფეხი შეეკრა, მიხვდა მის „კაიკაცობას" ყავლი გასვლოდა. მათგან ბევრმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, განცხადება თვითონვე დასწერა და ფაბრიკას გაეცალა (ასეთებს ხომ „მშრალი" ხელფასით ცხოვრება არ აწყობთ, აუცილებლად გამოსარჩენი უნდა ჰქონდეთ) მანამდე, ვისაც როგორ უნდოდა, ისე შედიოდ-გამოდიოდა ფაბრიკის ტერიტორიაზე — ფეხითაც, მანქანითაც. ეს რომ აღიკვეთა, სინდის-ნამუსიანობამ რომ მკვიდრად მოიკიდა ფეხი აქაც, საქმე წყაროს თვალივით წამოვიდა და შემოსავალმაც საგრძნობლად იმატა.

კოლექტივმა წარმატებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. მარტო შარშან სახელმწიფოს მიეყიდა თექვსმეტ მილიონზე მეტი ცალი კვერცხი — ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ცამეტი მილიონი ცალისა. თითოეულ კვერცხმდებელ ქათამზე ნაცვლად ას სამოცდაათისა, მიღებულია ორას სამი ცალი კვერცხი. კვერცხმდებლობის გადიდებით სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩაბარდა ორი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი ცალი კვერცხი, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია ასოცდაექვსი პროცენტით. მიღებულია ოთხას ხუთი ათასი მანეთი მოგება, ნაცვლად დაგეგმილი ას სამოცდასამი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი მანეთისა. ამიტომაც ფაბრიკა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს.

საქმე აეწყო. იმატა პრემიებმა. ხელფასს მეტი ბარაქა დაეტყო. მეფრინველეს ხელფასი ეძლევა წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენი საკვები ერთეული დახარჯა კვერცხის წარმოებაზე. წინათ მეფრინველე-ოპერატორს თვეში მოჭრით ოთხმოცი მანეთი ეძლეოდა. ამიტომ იგი ნაკლებად იყო დაინტერესებული მოწყობილობათა გამართული მუშაობით. ახლა მეფრინველე-ოპერატორის თვიური ხელფასი ორას მანეთს აღწევს.

მატერიალური სტიმულირების წყალობით ყოველ დახარჯულ ას მანეთზე 1974 წელს მიღებულია ას ცხრამეტი მანეთის პროდუქცია. მწვანე გზა დაეთმო ახალ, მოწინავე ტექნოლოგიას. ერთდღიანი წიწილების გადარჩევამ ამ ფაბრიკას შესაძლებლობა მისცა დიდი რაოდენობით გამოეზარდა ვარიები, გაედიდებინათ კვერცხმდებელი ფრინველის რაოდენობა, ამასთან, დაენერგათ ვარიების გამოზრდის მოლდაველთა გამოცდილება — ვარიებს ზრდიან კვერცხმდებელი ქათმის გალიებში, რითაც მოზარდი ფრინველის „საქმიანი" გამოსავალი ოცდაათი პროცენტის ნაცვლად სამოცდაათ პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი მთავარია კვერცხის წარმოების გადიდებისათვის. შეიცვალა ფრინველის ვაქცინაციის სქემები და მეთოდები. აეროგენული მეთოდით ვაქცინაციამ სამოცდაათი პროცენტით შეამცირა ამ სამუშაოზე გაწეული შრომის დანახარჯები. ფართოდ ნერგავენ ფრინველის გალიური შენახვის პროგრესულ მეთოდს. მომავალი წლიდან ფრინველის მთელი სულადობა გალიურ საფრინველეში ეყოლებათ.

საერთო გამარჯვებაში კოლექტივის ყველა კეთილსინდისიერმა მუშაკმა შეიტანა თავისი წვლილი.

მომავალში რა გზით უნდა გააგრძელონ მუშაობა ნორიოელებმა?

— ჩვენი საქმიანობა წყლის ნაყვა იქნებოდა, თუ კვლავ ფართოდ არ დავნერგეთ ცხოვრებაში მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი.

და მართლაც, ფაბრიკაში ბევრი რამ კეთდება — ხუთი საფრინველე რეკონსტრუქციის შედეგად აღიჭურვა ახალი ტექნიკით. ამ საფრინველეებში შრომის პროცესი მთლიანად ავტომატიზებულია.

ფაბრიკის დიასახლისს სადედე გუნდში შევყავართ. გუნდში ხუთი ათასი ფრინველია. ხუთიათასივე კვერცხმდებელია. თბილი, სინათლიანი, დაკრიალებულ-დასუფთავებული სადედე თვალს ახარებს. ამ საამქროში ირჩევა გამოსაჩეკი კვერცხი. კვერცხს რომ ნაჭუჭი ოდნავ გაებზაროს, საინკუბაციოდ აღარ ივარგებს.

საამქროში გერმანული დანადგარი — „ერ-30" გაუმართავთ (ორი საფრინველე). ეს ყველაფერი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა. ავტომატურია, რასაკვირველია, ფრინველისათვის საკვებისა და წყლის მიწოდება, ჰაერის გასუფთავება-განიავება, გარეთ ნაკელის გატანა.

ყურადღებას იპყრობს მშვენიერი, ფუმფულა საბუდრები... სისუფთავე, სისუფთავე... ელეტროკარადასთან მიმჯდარა მეფრინველე ქალი და უბრალო ღილაკის საშუალებით აწესრიგებს ორმოცი-ორმოცდაათი ადამიანის გასაკეთებელ საქმეს.

თუ რა სასიკეთოა ფაბრიკის მთლიანი რეკონსტრუქცია და რა შეღავათს იძლევა მექანიზაცია, № 2 სამრეწველო კვერცხმდებელი ბრიგადის მაგალითიდანაც კარგად ჩანს. ბრიგადაში ოთხი საფრინველეა. ამ ოთხიდან სამი მარტივია, ერთი კი მექანიზებული გალიური ტიპისა. გალიური ტიპის მექანიზებულ საფრინველეში იმდენი ფრთა ფრინველია, რამდენიც იმ სამ მარტივ საფრინველეში ერთად. თანაც, იმ ერთი საფრინველიდან იმდენსავე კვერცხს იღებენ, რამდენსაც დანარჩენი სამიდან. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მექანიზებულ საფრინველეს ორი ადამიანი ემსახურება, დანარჩენ სამს კი ექვსექვსი.

№ 2 სამრეწველო კვერცხმდებელი ბრიგადის ხელმძღვანელი როლანდ მინდორაშვილი ოცნებობს იმ დღეზე, როცა ის სამი მარტივი საფრინველეც მექანიზებული გახდება. ნანული ზვიადაურის საფიქრალიც ხომ ესაა (სხვათაშორის, ნანული მთელს კოლექტივში სახელგანთქმული მეფრინველეა და მინდორაშვილის ბრიგადაში ყველაზე კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა.). მორცხვსა და სიტყვაუთქმელ გოგონას მხოლოდ თავისი საქმე აჩენს.

როცა მოწინავე ადამიანებზე ჩამოვარდა საუბარი, ფაბრიკის დიასახლისმა პირველ რიგში ბრიგადირი ელზა თოდუა დაასახელა. ელზა კარგა ხანია ნორიოში „ჩამოსახლდა" და აქედან წასვლა ფიქრადაც კი არ გაუვლია. უყვარს თავისი სპეციალობა და იცის თავისი ხელობის ფასი.

მეფრინველეები — სედა გობეჯიშვილი და მართა ხიბელაშვილი დებივით შეწყობიან ერთმანეთს.

— მედღეხვალიენი როდი გახლავან, — ღიმილით ამბობს ფაბრიკის დირექტორი. — დღეის გასაკეთებელს ხვალისთვის არ გადადებენ. ამიტომ საქმე ყოველთვის უმართლებთ და წინწაგდებული აქვთ.

ყოველდღიურად მუხლს იმაგრებს ფაბრიკა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ გულმოდგინე ბრძოლამ, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, მორალური წახალისებისა და მატერიალური სტიმულირების გამოყენებამ, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვამ, რესპუბლიკაში მორალურ-ეთიკური კლიმატის გაჯანსაღებამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მშრომელებს.

**ვასილ გვეტაძე**

# „როცა მე გაზაფხულს ვუმღეროდი..."

მოგისმენიათ ეს სიმღერა? —

„როცა მე გაზაფხულს ვუმღერდი,
ქვეყანა მთლად ჩემი მეგონა"...

არა?

მე კი მოვისმინე, იქ, სადაც გაზაფხული ქვეყნად ყველაზე მშვენიერია, სადაც, ჭერათხევას აყვავებული ხეობის გავლის შემდეგ ზემოიმერეთი სამზერად გადმოდგება, და სადაც... „მოდინახეა", უკვდავყოფილი „მოდინახე" დღისით ფიქრიანად გადმომყურე, ღამით — პროჟექტორების შუქში მოლივლივე. სწორედ მის ძირში მღეროდა სიფრიფანა გოგონა — თამრიკო ჩუბინიძე: „ქვეყანა მთლად ჩემი მეგონაო"... ასეთია გაზაფხული, ქვეყანას დაგაპატრონებს.

გაზაფხული დაგვდევდა ყველგან აპრილის იმ ორ მშვენიერ დღეს.

გაზაფხული მყნიდა, კვირტავდა, ახვევდა ზვრებს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. გაზაფხულს გაცინებული პირი ჰქონდა, მზრუნველი, ნაჯაფარი ხელები.

ძნელი იყო გაზაფხულისგან ინტერვიუს აღება. არ ეცალა. მხოლოდ წამით შემობრუნდა. ვაზის მწკრივს მისდევდა და ისე საუბრობდა. საუბრობდა შრომის სიყვარულზე, ხვავზე, ბარაქაზე, მიზნებზე, მიღწევებზე, აღებულ მიჯნებზე, დასაპყრობ სიმაღლეებზე, პატიოსნებაზე... მერე მეურნეობაში მომუშავე ქალები ერთად შეჰყარა, ჩაამუხლა, ალალი პური გაატეხვინა. შესვენებაა. შინ დაბრუნების დრო არცა აქვთ. გული მშვიდ საგულეში უდევთ — პატარებს უდედოთაც კარგად მიხედავენ: ორი საბავშვო ბაღი აქვს მეურნეობას. მეურნეობის დირექტორი მიხეილ ბერიძე ყველა დედის სათქმელს ორიოდე სიტყვით უყრის თავს: „იქ ბავშვებს კარგად უვლიან!"

კეთილი და პატიოსანი — კარგად უვლიან. ასეც უნდა იყოს. სხვანაირად არც შეიძლება: ეს ხომ დანაშაული იქნება მშობლების წინაშე, საქმის წინაშე, პატარების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ კი ძილის საათი უკვე დამთავრდა. გასწორდა პატარა საწოლებზე ჭრელი საბნები.

ახლა ცხრა მაისისათვის ემზადებიან. ბავშვები, ორი წლისანი, ექვსი წლისანი ერთხმად პასუხობენ აღმზრდელ-მასწავლებელს: „ჩვენ გავიმარჯვეთ!“ „ჩვენ“ — ნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყანამ გაიმარჯვა, გაიმარჯვა ყველაზე საძულველ ფაშიზმზე. და ექვსი წლის ტყუპები: ტარიელ და ავთანდილ დონაძეები ვაჟკაცურად წევენ მაღლა თავს. ოთხი წლის ირინე ჩუბინიძე ამაყად კითხულობს ლექსს: „გვერდში მიდგას თოთხმეტი ძმა!“. მალხაზი, ინგა, შორენა, ლელა სათითაოდ თხოულობენ ლექსის წაკითხვის ნებას: „ლენინს უყვარდა ბავშვები!“.

ბავშვებმა იციან, რომ დედა მეურნეობაშია, იციან, რას საქმიანობენ ამჟამად. „დედა ვაზს კვირტავს!“ ასე, აქედანვე ეცნობიან, იყვარებენ ქართველი კაცის საამაგოს.

სადილობა ახლოვდება. დარბაზში მაგიდებს აწყობენ.

— ბავშვებო, რომელი კერძი გიყვართ?

— კატლეტი.

— სალიანკა.

— კომპოტი.

წარმოიდგინეთ, წვნიანის მოყვარულიც აღმოჩნდა — ხუთი წლის ავთანდილი.

— ბავშვებო, რომელი დეიდა უფრო გიყვართ?

— ყვე-ლა!

ეს „ყველა“: მზარეული სადიკო დეკანოიძე, ძიძა ანიკო ქემერტელიძე, ნომერ მეორე საბავშვო ბაღის გამგე ლეონინა კომლაძე და მასწავლებელი ნათელა ენუქიძეა. ისინი აღნიშნავენ, რომ რემონტი თითქმის დამთავრდა, მაგრამ სამზარეულოს ნაწილი მოსაპირკეთებელია, დერეფანში ახალი იატაკია დასაგები. ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ელენე დურმიშიძე და მეურნეობის დირექტორი სწორედ ამაზე მსჯელობდნენ წეღან. „რასაკვირველია, ასეც გაკეთდება“ — ამბობს მეურნეობის თავკაცი.

ეზოში ახალგაზრდა ქალი შემოდის — ლელა და ირმა სამხარაძეების დედა. ბავშვების ამბავს კითხულობს. „ყველაფრით, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ბატონო. ასეა სხვებიც. სხვებიც კმაყოფილი არიან, სხვებიც...“

ეზოში ბიბინებს კოინდარი. სათამაშო კოშკურიდან სრიალით ეშვებიან პატარები.

— ახლა პირველი საბავშვო ბაღისკენ! — ამბობს ელენე დურმიშიძე. ამბობს რაღაცა იდუმალებით.

და მხოლოდ მეურნეობის პირველი საბავშვო ბაღის ხილვისას ავხსენით ეს „იდუმალება“. ახლა, კალამი წამით გადავდე. მინდა უამრავი ხმა მქონდეს. იმდენი ხმა მქონდეს, რამდენი საბავშვო ბაღიც არსებობს ჩვენს სოფლებში, მეურნეობებში, კოლმეურნეობებში:

— მიდით, ნახეთ საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 საბავშვო ბაღი. წაიკითხეთ საპატიო სიგელი — სოფლის მეურნეობის მინისტრი, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების თავმჯდომარე და ჟურ-



ნალ „კრესტიანკას“ რედაქტორი რომ აწერენ ხელს: „მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში დიდი წარმატებისათვის!“.

ბაღის გამგე ნათელა წერეთელი (რა კარგი იქნება წერეთლის ყველა ქალს ნათელა რომ ერქვას!) ახლა სხვა სიგელს გვიჩვენებს: თვით ტერეშკოვა აწერს ხელსო! მისი სიამაყე და სიხარული გასაგებია: თვით ლეგენდარული ვალენტინა ტერეშკოვა!

სისუფთავე იდეალური!

შენობა ნათელი, ფართო.

პატარები სანიმუშოდ მოვლილნი.

სათამაშოები.

ტელევიზორი.

რადიომიმღები.

ასეც უნდა იყოს! ყველგან ასე უნდა იყოს!

ეს არც უნდა იყოს გასაკვირი!

და გვიან, ღამით, როცა ერთხელ კიდევ გადავშალე საჩხერის რაიონული გაზეთი, უფრო ღრმად გადამეშალა ის საქმიანობა, რასაც ასე სისტემატურად ეწევიან პარტიის საჩხერის რაიკომის, რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკები, — გასაკვირი არაფერი დამრჩენია. რაიონის ქალთა საბჭოს საქმიანობა ყოველთვის მათი ყურადღების ცენტრშია მოქცეული, მუდამ ანგარიშს უწევენ საბჭოს მოსაზრებას, მოთხოვნას, წინადადებებს. პრაქტიკულ ღონისძიებებს სახავენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საქმიანობის გასაუმჯობესებლად და უპირველეს ყოვლისა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

ქალთა საბჭო თანდათან ყოვლისშემძლე ხდება. თანდათან კი არა, თითქმის ყოვლისშემძლეა, რადგან მის კომისიებში რაიონის საუკეთესო, საქმიანი ადამიანები, ენთუზიასტები არიან გაერთიანებულნი. მათ შორის ...მამაკაცებიც: თენგიზ ტრაპაიძე (საჩხერის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ანდრო ლომიძე (რაიონული საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე), იუზა ჩხეიძე (არგვეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე), ტერენტი აბრამიშვილი (პარტიის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტის გამგე), ცეზარ ლაშხი (სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ამავე დროს, ქალთა რაიონული საბჭოს ბავშვთა შორის მუშაობის სექციის თავმჯდომარე).

ქალთა რაიონულ საბჭოს აქტივისტებიც ჰყავს, მათ შორის სოფელ ჩიხის საშუალო სკოლის დირექტორი გრიგოლ შუბითიძე. პატივცემულ გრიგოლსა და მის მეუღლეს, სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორს — ელენე ტყემალაძეს ხშირად ნახავთ ქალთა საბჭოში.

გვემრავლოს ასეთი ენთუზიასტები!

. . . . .

როდესაც გაზაფხულს უყურებს კაცი, იგიც ბუნების სასწაულის თანამონაწილე ხდება. და მართლაც, ადამიანიც სასწაულია! მას შეუძლია ბედნიერ, გამრჯე სამშობლოს ხელი მოჰხვიოს და წარმოთქვას:

„როცა მე გაზაფხულს ვუმღერი,
ქვეყანა მთლად ჩემი მგონია!..“

**ნაზი კილასონია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1975—ქალის საერთაშორისო წელი

# შემუნდირთ ჭარისჯაცი



ნარკვევი

1929 წელი იდგა. თბილისში პირველი ხუთწლედის პირმშო, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ამუშავდა. იქ პირველ ხანებში მხოლოდ ათიოდე საქსოვი დაზგა ელოდა მუშახელს. შინამრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მეცხრე კლასში სწავლობდა მაშინ ეთერ მაზანაშვილი, რომელმაც სასწავლებლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე ჩაიბარა საქსოვი დაზგა. მას მეგობრებმაც მიბაძეს და მალე სხვა საქსოვი დაზგებიც აგუგუნდა. სიამაყით შეუდგნენ საქმეს ფეიქრები. მათი ხელიდან ხომ პირველი ქართული საბჭოური აბრეშუმი გამოდიოდა! მაგრამ პრაქტიკასთან პირისპირ შეხვედრისთანავე მარცხი იწვნიეს. ქალიშვილები შეცბუნებულები, დარცხვენილები იდგნენ საქსოვ დაზგებთან. გაუჭირდათ საქმე. მათ ხომ თავის დღეში თვალიც არ დაეკრათ ასეთი მანქანებისათვის. ერთადერთი დაზგა, რომელიც მათ სასწავლებელში ჰქონდათ, ახლა ძალიან უსახოდ და პრიმიტიულად ეჩვენებოდათ. მძლავრ მექანიკურ დაზგებზე მუშაობა კი ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ახალბედა ფეიქრებს არც ერთი გააჩნდათ და არც მეორე. ამიტომაც მათი ნახელავი აბრეშუმი უხარისხო და წუნიანი იყო. დღეებს მარცხი და სინანული მოჰქონდა... უკანდახევა კი შეუძლებელი იყო. ცხოვრება მიზანსწრაფვასა და ხასიათის სიმტკიცეს მოითხოვდა, ეთერი კი ზოგჯერ სოფელში დაბრუნებაზე ფიქრობდა. ფიქრში მშობლიური სოფელი ჯიმითი ესახებოდა. აგონდებოდა სამწყემსურში გატარებული დღეები, მოჯამაგირეობით ქანცგაწყვეტილი წვრილშვილიანი მშობლების გაჭირვება, სტუმრად ჩამოსული ქალაქელი ნათესავი, შინაურებთან გამოთხოვება და დედის უკანდადევნებული იმედიანი სიტყვები: „ნუ ტირი, შვილო, ქალაქში რაიმე ხელობას ისწავლი და ალალ ლუკმას იშოვიო“. არა, უკანდახევა არ შეიძლებოდა, მითუმეტეს, რომ ეთერი კომკავშირული ორგანიზაციის მოწინავე აგიტატორი და პროპაგანდისტი, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში ამ ფაბრიკის ქომაგად გამოდიოდა და ახალგაზრდობას ფაბრიკაში სამუშაოდ იზიდავდა. ქსოვის დროს ჩაწყვეტილი ქსელები, ამოვარდნილი მასრები, გაჩერებული დაზგები და გულხელდაკრეფილი მუშები, თითქოს მას თხოვდნენ პასუხს. მთელი დღეები ცდებოდა მანქანები და მუშახელი, რადგანაც დაზგების შემკეთებელი და ქსელის გამმართავი ორიოდე კაცი სამუშაოს ვერ აუდიოდა. მაშინ ფაბრიკის მესვეურებმა იმსჯელეს, ითათბირეს და ფაბრიკაში მიიწვიეს იმ დროს ქალაქში ქსოვის ტექნოლოგიის ერთადერთი სპეციალისტი ვალერი ახვლედიანი და დაზგა-დანადგარების მოწყობა-დანერგვის სპეციალისტი ვლადიმერ ფხალაძე. მუშებმა მათგან ბევრი რამ ისწავლეს, უმთავრესი კი — ბოჭკოვანი ქსოვის ტექნოლოგია და მანქანების მართვა-გაწყობა იყო. მალე საქმე შედარებით წინ წავიდა. მუშახელი თანდათან გაიწაფა და საქმეს შეეჩვია. ეთერი მიხვდა, რომ სრულფასოვანი პროდუქციის მისაღებად მხოლოდ მუშახელის დაოსტატება არ კმაროდა. უხარისხო, წუნიანი პროდუქციის გამოშვება მანქანების ბრალიც იყო. ფაბრიკაში ძველი, გაცვეთილი, მეფის რუსეთის დროინდელი, ნაწილობრივ მწყობრიდან გამოსული საქსოვი დაზგები იდგა, დაჟანგებული სავარცხლებითა და დგიმებით, რომლებიც ხლართავდნენ, წყვეტდნენ ძაფს და უშვებდნენ წუნს. ეთერიმ ფაბრიკაში საჯაროდ განაცხადა, რომ ორ დაზგაზე იმუშავებდა, თუ მის ნება-სურვილს ანგარიშს გაუწევდნენ და დაზგებს შეუკეთებდნენ. მოუსმინეს, დაზგებს ქსელის ავტომატური დამჭერები დაუყენეს, ძველი დგიმები და სავარცხლები ახლით შეუცვალეს და განახლებული დაზგები ჩააბარეს. ეთერის გაბედულ, ნოვატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ წინადადებას ბევრი ალმაცერად შეხვდა, მაგრამ ეთერიმ მათ ეჭვსა და უნდობლობას თავისი სურვილი და შემართება დაუპირისპირა და სიტყვა შეასრულა. მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, პირველ რიგში კი მისმა უახლოესმა მეგობრებმა: ვერა ბერიძემ, შურა სიხარულიძემ, თამარ თევდორაშვილმა და სხვებმა მიბაძეს. 1930 წლის იანვარში ფაბრიკაში შეიქმნა ორდაზგოსანთა I კომკავშირული ბრიგადა, რომლის წევრები იყვნენ: თამარ გულისაშვილი, ნინო მესაბლიშვილი, ნინო ციხისელი. ბრიგადას ეთერ მაზანაშვილი მიუკვლევდა გზას. ეთერი ფაბრიკის პირველი ცვლის მუშათა კომკავშირის კომიტეტის მდივნად და საქსოვი საამქროს ხელმძღვანელად დააწინაურეს. შემდეგში საქართველოს ალკკ თბილისის ქალაქის რაიკომის წევრად და მისი პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად აირჩიეს, პარტიაში მიიღეს, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეობა დააკისრეს. ეთერის წინ ფართო სარბიელი გადაიშალა. ახლა მთელი ფაბრიკის წარმატებაზე ზრუნავდა. თელავის, სამტრედიის, მახარაძის და წულუკიძის ძაფსაღები ფაბრიკების ნედლეული, რითაც აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა საზრდოობდა, ვერ აკმაყოფილებდა პროდუქციის ხარისხისათვის საჭირო პირობას. ამიტომ ეთერიმ შემოიარა ნედლეულის ბაზები, პრინციპულად მოითხოვა ძაფსაღები ტექნოლოგიის წესების ზუსტი დაცვა, ძაფის ხარისხის გაუმჯობესება, ძაფით აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის შეუფერხებელი უზრუნველყოფა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას, მუშაობის გაადვილებისა და გაუმჯობესების საქმეს, დაზგა-დანადგარების შეკეთებასა და განახლებას, მშრომელთა წინადადებების განხილვასა და საჭირბოროტო საკითხების დროულად მოგვარებას.

„ახლა მთავარია ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას". — ასეთი იყო მაშინ ჩვენი პარტიის ლოზუნგი. ეთერის კარგად ესმოდა პარტიის ამ მოთხოვნის არსი. ზრუნავდა იმ ადამიანების ცხოვრების უკეთესად მოწყობაზე, ვისთანაც აკავშირებდა ყოველდღიური შრომა, საზოგადოებრივი მოვალეობა და იმის შეგნება, რომ თითოეული მუშის ინტერესი მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან.

1931 წელს ეთერი, როგორც დამკვრელური შრომის ნოვატორი, მოსკოვში მიავლინეს ფეიქართა კურსებზე. ეთერი აქ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოწინავე ფეიქრებს შეხვდა. მათთან საუბარმა, მოსკოვის მსხვილი საფეიქრო საწარმოების ნახვამ, მათი მუშაობის გამოცდილების გაცნობამ ეთერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფაბრიკაში დაბრუნების შემდეგ ცდილობდა შეძენილი გამოცდილება სხვებისათვის გაეზიარებინა. იგი შეუდგა მუშაობის შემაფერხებელი მიზეზების შესწავლას. ხშირად ფაბრიკაში მუშახელის გაცდენას ე. წ. საფუძვლების უქონლობა იწვევდა. საფუძვლებად — ქსელის გადასახვევად — გამოიყენებოდა სქელი მუყაოს ქაღალდები. საფუძვლებს ქსელის ამოხვევისთანავე ჰყრიდნენ. შემდეგ კი, ზოგჯერ, მთელი კვირა ელოდნენ საფუძვლებისათვის საჭირო მუყაოს ქაღალდს. ეთერიმ წინადადება წამოაყენა: — ნახმარი საფუძვლები დაძველებამდე გამოეყენებინათ! ამ წინადადებამ ფაბრიკას წლიურად ათასობით მანეთი დაუზოგა. ეთერი კი სტახანოველთა რიგებში ჩადგა და მხარი გაუსწორა ჩვენი რესპუბლიკის სტახანოველებს: მეშახტე ვასილ სამხარაძეს, მჭედელ დავით ჭიჭინაძეს, მემანქანე ანდრო წიკლაურს. ამ პერიოდში სტახანოვური მოძრაობის მასობრიობისათვის მოწყობილი ტექნიკური სწავლების კურსი ეთერიმ ფრიადზე დაამთავრა. სათანადო განათლების მიღების შემდეგ სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელური შრომისა და სტახანოვური მოძრაობის მონაწილე ეთერ მაზანაშვილი ქსოვის ინსტრუქტორი გახდა. იმავე ხანებში ეთერიმ საქსოვი საამქროს ქვეოსტატი, სტახანოველი ივანე ივანისელი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა. ოჯახი, ორი შვილი, ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობა ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვდა მისგან.

1938 წელს ეთერ მაზანაშვილი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეთერი რაიონის ზრდა-განვითარებასა და კეთილმოწყობასთან ერთად, კვლავ თავისი საწარმოს შეუფერხებელ მუშაობაზე და მისი კოლექტივის წარმატებებზე ზრუნავდა.

ეთერს, სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრს სხვადასხვა პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებდნენ.

1943 წელს ეთერი თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა, 1944 წელს — თბილისის ბამბის ფაბრიკის დირექტორად, 1945 წელს — თბილისის საბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგედ, 1952 წლიდან 1964 წლამდე კი — მეორე სამკერვალო ატელიეს დირექტორად.

ეთერ მაზანაშვილს მდიდარი ბუნება და ფართო საზოგადოებრივი ინტერესები აქვს. ამ ინტერესმა ექსტერნად დაამთავრებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს სამწლიანი უნივერსიტეტი. ახლა იგი იმავე ინტერესით აგროვებს საარქივო მასალებს, ეძებს დოკუმენტებს და წერს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას, ამზადებს ფოტოსტენდს, კრებს ნივთიერ მასალებს ფაბრიკის მუზეუმის დასაარსებლად.

ჩვენი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცი ეთერ მაზანაშვილი, რომელიც ყოველთვის პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ამჯერადაც შრომის პოსტზეა.

**მარიკა გვიმრაძე**

## პატარებისათვის

მედეა კახიძე

### კახას მანქანით

ეზოში შემოაქანა
კახამ მანქანა ტაქსი.
ეკა ყელს უწევს კახა ბიჭს:
— შენს მანქანაში ჩამსვი,
ჩემი ბებიკოს სახლამდე
კილომეტრია ასი,
ჩამსვი და შენი მანქანით
ჩამარბენიე წამში!

### მამალი

ფხა გაეჩხირა ყელში,
ხმა ჩაეხრინწა მამალს,
ბებო, შენ მამალს მიხედე,
მე აფთიაქში წავალ,
მოკვდება ჩემი მამალი
თუ არ მოვუტან წამალს!

### შფოთი

იცით, ჩიტებმა ხეზე
რატომ ატეხეს შფოთი? —
თამუნას მოუტეხია
ნუშის ლამაზი ტოტი.

### მივეშველოთ

ეს კალათა ბებიას
გამოაცლის არაქათს,
მივეშველოთ, არიქა,
შინ წავუღოთ კალათა!

## ინგლისური ხალხური პოეზიიდან

### ჩარლი

ჩარლი, ჩარლი, ჩანდარა,
ხეზე ვაშლი დამპალა.
ჩარლი ხეზე აპარულა,
ბნელში არა ჩანდა-რა.
ტოტი წვრილი შეხვედრია,
როგორც ქათმის ქანდარა,
ჩარლის ტოტი მოტეხია
და ჭინჭრებში ჩამჯდარა.
ჭინჭრებიდან წამომხტარა
როგორც რკინის ზამბარა,
და ხეს წვერზე მოქცევია
ჩარლი, ჩარლი, ჩანდარა.
რას ეძებდა, რა უნდოდა,
სად რა დაინდარა,
თუკი ვაშლი დამპალიყო,
თუკი არა ჩანდა-რა.
მაგრამ, აბა ვინ გაუგებს
სად ყოფილა, სად არა,
სად რა ოინს ჩადიოდა
ჩარლი, ჩარლი, ჩანდარა.

თარგმნა თამარ ერისთავმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა შავლიაშვილი

# ხელები

მოთხრობა

მხატვარი ლია ხვანიძე

ვარშავა შოპენის დღეებს იხდიდა.

ამ დღეებს ყოველ წელს დღესასწაულობდა და მაინც ვერ აქცია ჩვეულებად. მაინც მღელვარებითა და გულისფანცქალით ელოდებოდა ივლისს.

ამ დღეებში შოპენის მუსიკა იყო ყველგან: ავტობუსში და ტროლეიბუსში, სასტუმროს დერეფნებსა და რესტორნების დარბაზებში.

რჩეული მუსიკოსები დედამიწის ყველა კუთხიდან ამ დღეებში ვარშავაში ჩამოდიოდნენ.

კონცერტები ქუჩებში და ბაღებშიც იმართებოდა — სახელდახელოდ ახუხულავებულ ესტრადებზე.

ამ დღეებში უგროშოდ და უდავიდარაბოდ შეიძლებოდა მოსმენა ამომავალი ან აღიარებული ვარსკვლავისა, რომელთა კონცერტზე მოხვედრა სხვა დროს ან აუხდენელი ოცნება იყო, ან მთელი ღამე ბილეთების რიგში დგომა სჭირდებოდა.

ხალხი ამ დღეებისათვის ისევე ემზადებოდა, როგორც ოდესღაც აღდგომისათვის.

ბაღებში, საბავშვო ეტლებში ჩაძინებულ ბავშვებსაც შოპენის მუსიკა უნანავებდა, საქსოვი ჩხირებით შეიარაღებული დედები და ძიძებიც იმ მუსიკას უსმენდნენ.

სკამებზე გაყუჩებულ ბებიებს ან დომინოს მოყვარულ მოხუცებს იშვიათად შეხვდებოდით მაშინ. მაშინ ვარშავაში მხოლოდ ორი თაობა ცხოვრობდა: მშობლები და შვილები. წინა თაობა უკლებლივ გაწყვიტა ფაშიზმმა.

იმ დღეს ქართველ მუსიკოსთა ჯგუფი ოსვენციმში აპირებდა წასვლას. თავშეყრა პირველ დარბაზში, კიბის ქვეშ იყო დათქმული — დაბალ, შავ მაგიდასთან, მაღალზურგიანი სავარძლები რომ ჰქონდა შემორიგებული. თითოეული სავარძელი ღერძის ირგვლივ ბრუნავდა, ღრმა იყო და შიგ მყუდროდ მოკალათება შეიძლებოდა.

ვიღაცამ მაგნიტოფონი ჩართო, წინადღის კონცერტი იყო ჩაწერილი.

ვისაც სად მოუსწრო პირველმა ბგერებმა, იქვე გაჩერდნენ, ოღონდ ყველა ჩამუხვლას შეეცადა... ზოგი სავარძელში ჩაიმალა, ზოგი განზე გადგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

გერმანელი შულცი ასრულებდა შოპენის პოლონეზს.

ის ბიჭი ჩამოსვლის პირველივე დღეს რატომღაც ყველამ შეამჩნია. ტანწვრილი იყო, დაბალკანჭიანი. სიარულის დროს მარცხენა ფეხს ოდნავ მიათრევდა ხანდახან. იღიმებოდა თუ არ იღიმებოდა, თვალები ერთთავად მწვანედ უბრწყინავდა. პირხმელი სახე კი ისე ჰქონდა ნიღაბივით გაქვავებული, არცერთი კუნთი არ შეუტოკდებოდა.

ვიღაცამ თქვა: „მაგ ბიჭს რაღაც სატანისეული აქვსო“.

ამის თქმა და ნათლობა ერთი იყო. სხვაგვარად აღარავინ იხსენიებდა. ყველა სატანისეულს ეძახდა.

ჩამოსვლის მეორე დღეს ბიჭებმა ეზოში ფრენბურთის ბადე დაინახეს გაჭიმული. თავი გადააკლეს ბურთის შოვნას. შულციც გამოვიდა მოედანზე, ოღონდ განზე იდგა, ოდნავ მოშორებით. როცა შესთავაზეს: „ითამაშეო“, ხელებზე დაიხედა და თავი გააქნია.

თხელი ხელი ჰქონდა, სუსტმაჯიანი, თითებსაც გრძელი არ ეთქმოდა, მაგრამ ისე თეთრად ქათქათებდნენ, თვალის მოშორება ჭირდა.

— ხელები ჩვენცა გვაქვს, რა მოხდა? — ნოდარმა ხელები ჰაერში გაასავსავა.

— გაფრთხილებულს ღმერთიც უფრთხილდება, — რუსულად თქვა შულცმა.

ეს სატანისეული ჭკუის სასესხებლად მეზობელთან არ უნდა დადიოდეს, სიფრთხილეს მართლაც არ ასტკივა თავიო, — გაიფიქრა ნოდარმა და ბიჭებს გადახედა, მაგრამ როცა დაინახა რა მოუთმენლად ელოდებოდნენ თამაშის დაწყებას, რა სულწასული სახეებით მისჩერებოდნენ ბურთს, თვითონაც ხელი ჩაიქნია და დანარჩენებში გაერია.

მსაჯობა სატანისეულმა იკისრა.

რამდენიმე წამში გახურდა თამაში.

აზარტში შესული ბიჭები ერთმანეთს ლამის თავზე ახტებოდნენ და ისე გამეტებით ურტყამდნენ ბურთს, თითქოს ქვეყნის ჯავრს ამ გაბერილ ტყავზე იყრიდნენ.

მსაჯი არც კარგად დარტყმულ ბურთს მოჰყავდა აღტაცებაში, არც ბადეზე ოდნავ გადაცილებულ მტევანს ტოვებდა უყურადღებოდ. მაშინვე სასტვენს უბერავდა და გერმანული სიზუსტით მოითხოვდა თამაშის წესების მკაცრად დაცვას.

მოთამაშეებს თამაშის სურვილი მეტი ჰქონდათ, ვიდრე ცოდნა და ოსტატობა. ამიტომ ხშირად ცოდავდნენ და ცდებოდნენ. სასტვენის ხმა და ხშირი შენიშვნები წყალგადასხმულივით აგრილებდა აზარტს და თამაშის ხალისს უკარგავდა ბიჭებს.

ნოდარის ჩარტყმულ ბურთს, ბადის მარჯვნივ მდგარი მოწინააღმდეგე გაუწვა და თითქმის მიწიდან შეეცადა აღებას. თავმა წინ დასძლია, იდაყვი ქვიშას გაუქლაქუნა და ისე გადაიქლირთა, სისხლმა დაიწყო ჟონვა.

მაშინვე შეწყდა თამაში. ყველა დაზარალებულს შემოეხვია. ყველამ ერთად გაიხსენა, რომ თითებს გაფრთხილება უნდოდა და ასეთ დროს ბურთის თამაში ბავშვობა და ქარაფშუტობა იყო.

და მაინც, მეორე დღეს, სატანისეულის კონცერტზე წასვლის მსურველი იმ ბიჭებიდან არავინ აღმოჩნდა.

მხოლოდ ნელი — ნოდარის ცოლი, კარგა ხნის შემდეგ დაესწრო ერთ კონცერტს.

ქალი ენაჩავარდნილი დაბრუნდა შინ.

ვერავინ გაიხსენა ბოლოს და ბოლოს რამ დააინტერესა ბიჭები: ნელის ერთი ღამით დამუნჯებამ, თუ მეორე დილით ქმართან ატეხილმა ჩხუბმა: გინდა თუ არა, მოუსმინე იმ ბიჭსაო. ეს კი იყო, რომ ბოლო კონცერტზე ყველა უკლებლივ გამოცხადდა და თან მაგნიტოფონიც მოიტანეს ჩასაწერად.

სატანისეული სცენაზე ნელა გამოვიდა. მარცხენა ფეხს ოდნავ მიათრევდა. როიალთან შედგა, ნიღაბაფარებული სახით გადახედა დარბაზს და თავი ოდნავ დაიქნია. მერე დაჯდა და კლავიშებს ისე გადაუსვა ხელი, როგორც მწრთვნელი მოსათვინიერებელ მხეცს უსვამს ფაფარზე.

თხელი მტევანი ჰქონდა, არც თითებს ეთქმოდა გრძელი.

სკამი გაასწორა და სუსტად ჩაახველა, ისე სუსტად, რომ მხოლოდ ბიჭებმა გაიგეს, რადგან იქვე ახლოს, მარცხენა ლოჟაში ისხდნენ. გაიგეს და ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს: სიმღერას ხომ არ აპირებსო.

ნელიმ კოპები შეიკრა.

ბიჭებმა ღიმილი გაიქრეს.

სატანისეული ოდნავ შეეხო ერთ კლავიშს. კლავიშმა საწყალობლად დაიკვნესა.

ამ ხმამ ბიჭი გარინდებიდან გამოიყვანა თითქოს. ორივე ხელი ერთად ასწია და დაკვრა დაიწყო.

თავდაპირველად, სანამ უამრავი გრძელყელა დოქიდან წყალი ლიკლიკით იღვრებოდა, სანამ მთის წყარო კლდის საფეხურებზე ასკინკილით ჩამოხტოდა, სანამ ნიავი ფერდობზე ამოსულ ჯეჯილში დაფრიალებდა და ცისფერხალათიანი და წითელკაბიანი გოგო-ბიჭები ტყის პირას პეპლებს დასდევდნენ, დარბაზი გულისყურით უსმენდა მუსიკას, გულისყურით უსმენდა, მაგრამ სათვალის შუქზე აბრჭყვიალებულ სხივსაც ამჩნევდა, მეზობლის მაღალ მკერდსაც და როიალის სახურავში გამოსახულ შავბანტიან თეთრ პერანგსაც.

მოსახდენი მერე მოხდა.

როცა სიტყვამ დაკარგა თავისი გრძნეული ძალა, როცა სიტყვა სათქმელს ვეღარ ამბობდა, რადგან მუსიკა სწორედ იქ იწყებოდა, სადაც სიტყვა უძლურდება. რის თქმაც სიტყვით შეიძლება, იქ მუსიკას არაფერი ესაქმება.

იმ დროს, მთელ დარბაზში, ალბათ, აღარავინ ფიქრობდა იმაზე, როგორ უკრავდა ან რას უკრავდა მუსიკოსი, რადგან თითოეული იმათგანი აშკარად გრძნობდა, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. თანდათანობით, მაგრამ შესამჩნევად ეცლებოდა. რადგან ის, რასაც ახლა უსმენდნენ, მიწიერს აღარა ჰგავდა.

ის მუსიკა რომელიმე იმათგანისთვის უცხო როგორ იქნებოდა, აკვნიდანვე შესჩვეოდა ყური, მაგრამ თითოეულს ეჩვენებოდა, რომ რასაც ახლა უსმენდნენ, იმის შექმნაცა და შესრულებაც ადამიანის უნარს და შესაძლებლობას აღემატებოდა.

ლოჟაში მსხდომთ გული ისე უძგერდათ, თითქოს მკერდში გრდემლის ჩაქუჩი ჩაედგა ვინმეს.

გულისა და მაჯისცემას ვინღა უყურებდა, თეთრი ხელების მეტს ვეღარაფერსა ხედავდა თვალი.

ხოლო ის თეთრი ხელები მხოლოდ იმას ესწრაფოდნენ და ემსახურებოდნენ, რასაც დიდად და დიდებულად თვლიდნენ.

და როცა თეთრმა ხელებმა მთელი ქვეყნის მდინარენი ერთად აამხედრა და ააბობოქრა, ლოჟაში მსხდომთ მოეჩვენათ, რომ ახლა სატანისეულს საითაც არ უნდა გაეშვირა თითი, მთელი დარბაზი ერთხმად იხუვლებდა და იმ მხარეს მიაწყდებოდა.

ნოდარმა ცოლს შეხედა.

შეშფოთებული თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა ქალს.

სატანისეულმა დაკვრა დაამთავრა.

დარბაზში სამარისებური მყუდროება დასადგურდა, მაგრამ ყურებს ისევ ზრიალი გაუდიოდა.

სატანისეულმა მკლავები ძირს დაუშვა. შავი ფრაკის ფონზე თეთრი ხელი თვალისმომჭრელად აქათქათდა.

მოულოდნელად ისეთმა ტაშმა იფეთქა, ხმაურს რომ ნგრევის ძალა ჰქონებოდა, დარბაზის ჭერი ჭაღიან-კედლებიანად ძირს ჩამოიქცეოდა.

მუსიკოსი სკამიდან წამოდგა; წინ დინჯად, მაგრამ მტკიცედ წამოვიდა და მადლობის ნიშნად თავი დახარა. თვალებში მწვანე ცეცხლმა იელვა. მერე შებრუნდა და სცენიდან იმ კაცის ნაბიჯით გავიდა, რომელმაც თავისი ძალაც იცის და ამ ძალის ფასიც.

კიდევ დიდხანს გრიალებდა ტაში, მაგრამ სატანისეული აღარ გამოჩენილა.

მაგნიტოფონი ისევ გუშინდელ ტაშს იმეორებდა, როცა ნელი და ნოდარი კიბეზე ჩამოვიდნენ და შავ მაგიდასთან თავშეყრილებს შეუერთდნენ.

ქალს მაშინვე დაუთმეს ადგილი სავარძელში. მერე შეთანხმებულივით ყველამ განზე გაიხედა. ტირილისაგან სახეშეშუპებულ ქალს ყველამ ერთად აარიდა მზერა.

ქმარი უხერხულად შეიშმუშნა. ცოლი გამიგიჟდაო, ისე თქვა, თითქოს იქ მყოფთ საშველადაც უხმობდა და მსაჯულებადაც იწვევდა:

— მთელი ღამე ტიროდა. არც მე დამაძინა, არც თვითონ დაიყენა საშველი.

ქალმა ქმარს საყვედურით სავსე თვალებით შეხედა და ლოყაზე დაგორებულ ცრემლს ბატისტის ცხვირსახოცი შეაგება.

— რა მოხდა, ნელი? — მხრებზე ხელი შემოხვია გივიმ და თავისკენ მიიზიდა.

ქალს გული ამოუჯდა.

— ნუ, გოგო, ნუ ტირი, აბა მითხარი ვინ გაგაჯავრა? — ტკბილად ჩასჩურჩულა გივიმ.

— სიზმარი ვნახე, ბიჭი მომკვდომოდა ვითომ, — ძლივს ამოთქვა ნელიმ და უფრო ძალიან აქვითინდა.

— კარგი სიზმარი გინახავს, სულელო, დღეგრძელი იქნება შენი შვილი. ნუ იკლავ თავს. შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ. აბა, მოერიე ცრემლს!

მაგრამ ნელი ცრემლს ვერ ერეოდა. გულამოსკვნილი ტიროდა და თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყვებოდა:

— კუბო მაგიდაზე იდ-დგა, პაწაწინა იყო, ყვავილებში ჩამალული. მე თავთან ვედ-დექი. შავი კაბა მეც-ცვა, კოჭებამდე ჩაფლასუნებული. ჯერ რაღაც სამგლოვიაროს უკრავდნენ. მგონი შოპენი იყო. მერე კაპრიჩიო წამოიწყო სასულე ორკეს-სტრმა, ძალიან ხმამაღლა და საზეიმოდ. ქუჩაში წითელ-ყვითელ ტანსაცმელში მორთული ხალხი საცეკვაოდ აირია. ხელიხელჩაკიდებულები ცეკვავდნენ, რიღაცით უზომოდ გახარებულები და გაბედნიერებულები.

ფანჯრები დავხურე. ძალიან მაღალი ფანჯრები იყო, ვენეციური. უცებ საოცრად მხიარული მუსიკა ქარივით მძლავრად დაეჯახა ფანჯრებს, ერთბაშად გამოხსნა, ოთახში შემოიჭრა და იქაურობა ააფორიაქა...

— აკი გეუბნები, კარგი სიზმარი გინახავს-მეთქი. ბიჭი დედაშენთან დატოვე თუ ნოდარის დედასთან?

—დედაჩემთან. შაბათ-კვირას ჩემი მამამთილი წაიყვანს თავიანთსა.

— ისინი შენზე უკეთ მოუვლიან, არაფერს გაუჭირვებენ.

— გაჭირვებით არაფერს გაუჭირვებენ, მაგრამ გვარიანად გაათავხედებენ, — თქვა ნოდარიმ.

— ბებიები ჩუმჩუმელა მავნებლები არიან ოჯახში. იმათთვის არც რეჟიმი არსებობს, არც აღზრდის წესი. ერთთავად ეფერებიან და ანებივრებენ პატარებს, — სიცილით თქვა გივიმ და ნელის მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი.

— ბენჯამენ სპოკი მაგ საკითხზე სხვა აზრისაა, — საუბარში ვაჟა ჩაერია. — მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა კარტოტეკის შესწავლით დასტურდება, რომ ზრუნვა და ალერსი კი არა, ბავშვს სწორი გზიდან სიმკაცრე და გულქვაობა აცდენსო — ამბობს.

— ჩვენ მაინც მეტისმეტად ვათავხედებთ და ვატუტუცებთ ბავშვებს, — თქვა ნოდარმა.

— დაჩაგრულს და დაბეჩავებულს განებივრებული მირჩევნია მაინც, — არ დაეთანხმა ვაჟა.

— როცა შენი გეყოლება, მაშინ ირჩიე.

— ეგ სულაც არ არის სავალდებულო. ყველა აღიარებული პედაგოგი: სუხომლინსკი, მაკარენკო, გოგებაშვილი უშვილონი იყვნენ, მაგრამ შენზე მეტი იცოდნენ მაინც.

— მაშ, დამჯერობა დაჩაგვრასა და დაბეჩავებასა ნიშნავს?

— ნიშნავს. მეტისმეტი ყველაფერი რეტისრეტია. ამბობენ, ყველაზე გამგონე და მორჩილი ბავშვები გერმანელები არიანო. განსაზღვრულ ასაკამდე მშობლის სიტყვა კანონია შვილისათვის. მერე, იცი რითი აღწევენ მაგ მორჩილებას?

— რითი?

— დასჯითა და ცემით. ამას წინათ გერმანიის გაზეთი წერდა: საზოგადოება მოითხოვს ახალი კანონის შემუშავებას იმ დედათა დასასჯელად, რომელთაც ცემის დროს უნებურად ხელში აკვდებათ ან უმახინჯდებათ შვილებიო.

— უჰ, — ამოიკვნესა ნელიმ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ეგ ხომ ნორმა არ არის, იშვიათი გამონაკლისია. ეგ ბარბაროსობაა, — აღშფოთდა ნოდარი.

— ბარბაროსობაა, მაგრამ ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ფაშიზმი სწორედ იმ ქვეყანაში განვითარდა, სადაც ყველაზე მორჩილი ბავშვები არიან.

— მაშ გაუმარჯოს თავხედ ბავშვებს, ჩემი შვილი ყველაზე დიდი თავხედია.

ნელიმ ჩანთიდან „ყველაზე დიდი თავხედის“ სურათები ამოალაგა.

ბიჭებს გაეცინათ.

თავხედი კი არა, ეშმაკური თვალები ჰქონდა ბიჭს. სიანცეზე გამახვილებული, საეშმაკოზე გაფაციცებული.

ისე მოუთმენლად იდგა, გეგონებოდათ ერთი წამიც და გულის მაგიერ მკერდში ჩადგმული ძრავი უმოქმედობის გამო აფეთქდებაო.

ერთ სურათში ორივე ხელით ვეებერთელა ტოლჩას ჩაფრენოდა და მთელი კვირის მწყურვალესავით სვამდა.

ფუნთუშა ხელი ჰქონდა, თითების მაგიერ ერთმანეთის გვერდით პაწაწინა ბალიშები ელაგა, ძალიან გაფუებული ცომივით ამობურცული. ხელის ზურგიც ცოტა მოზრდილ ბალიშსა ჰგავდა. მაჯაზე სამაჯურის ხაზი ღრმად დასერილივით უვლიდა გარშემო.

ბიჭები დაბურთულ თითებს შესცქეროდნენ.

დედაც უყურებდა.

რამდენჯერაც იმ ხელისათვის დაურტყამს, იმდენი ისარი უსერავდა ახლა გულს.

შიშით ბაზარში ვერ წაეყვანა. სადმე მოხერხებულად ჩაცუცქდებოდა, სანამ დედა რამეს ყიდულობდა, ის კარგი ქურდივით ზვერავდა იქაურობას. მერე იმ გაფუებული ხელით რაც ხელში მოხვდებოდა, ელვისსიწრაფით მოიტაცებდა და, უკან მოუხედავად გარბოდა. ატამი თუ ვაშლი, მსხალი თუ პამიდორი ხელში ჩაბღუჯული მიჰქონდა. დედა მისდევდა, იჭერდა და ხელებზე სცემდა.

ერთმა მოხუცმა გამყიდველმა, რომელსაც პამიდორი მოპარა ბიჭმა, ერთხელ საოცარი გულისწყრომით დაწყევლა ქალი:

— აგრემც გაგიხმეს ეგ ხელი, ერთი პამიდორის გულისათვის აგრე გამეტებით ჩაარტყამს ადამიანი ამ ჩვილ თითებში ყმაწვილს?

— აბა, შეხედეთ, როგორ ოსტატურად იპარავს. მაშ როგორ გადავაჩვიო ქურდობას? — ნელი ისე თავგამოდებით იმართლებდა თავს, თითქოს თვითონ კი არა, ის მოხუცი იყო ამ აბეზარის დედა.

— ძალიან ესმის მაგას ქურდობისა რამე. ყმაწვილია, რასაც უშლიან, სწორედ იმის გაკეთება უნდა.

გუნებაამღვრეული გამობრუნდა ნელი ბაზრიდან. ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას მარიგებსო, — ფიქრობდა.

კარგა ხნის შემდეგ, წიგნში წაიკითხა: „პატარები შეუგნებლად ქურდობენ, ამ ასაკში ქურდობის აზრი ჯერ არ ესმით. მაშინ იპარავენ რამეს, როცა რაიმე სხვა მიზეზის გამო თავს უბედურადა გრძნობენ“.

იმ დღის მერე ბაზარში სულ იმ მოხუცს ათვალიერებდა. თუმცა კიდეც რომ ენახა, რას ეტყოდა, არ იცოდა.

ბიჭი ისე არ დაიძინებდა, თუ ფუნთუშა ხელს დედას მკერდში არ ჩაუცურებდა. მაშინ ქალს ეჩვენებოდა, რომ ის აღთქმული სამოთხე სწორედ ასეთ ნეტარებას გულისხმობდა.

სურათები ხელიდან ხელში მანამდე გადადიოდა, სანამ ავტობუსის მოსვლა არ აუწყათ მძღოლმა.

ნელიმ კი მაშინ შეინახა სურათები ჩანთაში, როცა მანქანა ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის ჭიშკართან შეჩერდა.

მზიანი დილა იყო, ხალისიანი. ირგვლივ ყველაფერი ენით აღლოკილივით იყო დაგვილ-დასუფთავებული.

„ალბათ მაშინაც ასე წკრიალებდა აქაურობა“, — გაიფიქრა ქალმა და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

კიდევ უფრო გაუფუჭდა გუნება.

ის ხალისიანი მზე, გარშემო გამეფებული სიმშვიდე და მყუდროება, მოშორებით ჩამწკრივებული უამრავი ავტობუსი, როგორღაც ავისმომასწავებლად და ცუდი ამბის მთქმელად მოეჩვენა.

შეეცადა ქმრის სიახლოვეს ევლო.

ჭიშკარზე გამოკიდულ მსხვილასოებიან აბრას თვალი მოჰკრა, მაგრამ, ვერ დაიხსომა, შრომის დიდება ეწერა თუ შრომისაკენ მოწო-

დება. უშველებელ ეზოში რამდენიმე ბარაკი ჩარიგებულიყო.

...კრემატორიუმი ბანაკგარეთ არის, — ყური მოჰკრა უკან მომავალთა საუბრის ნაწყვეტს და კრემატორიუმის დასანახად კისერი წაიგრძელა. უკან ყურებაში სამსაფეხურიანი კიბე ვეღარ შეამჩნია, ფეხი წამოჰკრა და კინაღამ წაიქცა. ქმარმა დროზე შეაშველა ხელი.

პირველი თავზარი დერეფანში გამოკრულმა სურათებმა დასცა:

თავგადაპარსული პატიმრები წინიდან და გვერდიდან გადაეღოთ. ყველას საოცრად დაჭყეტილი თვალები ჰქონდათ, ალბათ, ამიტომ გამომეტყველებაც უაზრო და არაფრის მთქმელი.

„სხვა რომ არაფერი არსებობდეს, ეს სურათებიც კმარა იმის დასადგენად, რომ მათი ყოფა ადამიანურ ყოფას არა ჰგავდა. ამ სახეების პატრონებს ადამიანები აღარ ეთქმით, მაგრამ ვერც ცხოველებს დაარქმევ ჯერ", — ძრწოლვით გაიფიქრა ქალმა, სურათებს თვალი აარიდა და სადაც მოხვდა, იმ კარებში შესასვლელად აჩქარდა.

იქ უფრო დიდი სურათი დახვდა — პატარა ბავშვების ვეებერთელა სურათი, მთელ კედელზე აფარებული.

ერთად თავშეყრილებისათვის გადაეღოთ. ხუთი, ექვსი წლისაზე დიდი არც ერთი იმათგანი არ იქნებოდა. არც ისეთი უაზრო თვალები ჰქონდათ, როგორც დერეფანში გამოფენილებს, მაგრამ არც ბავშვური სიანცე და სიეშმაკე იკითხებოდა თვალებში, მორჩილება ეწერა მხოლოდ.

„არა, ამ გამომეტყველებას არც მორჩილება დაერქმევა, — თავისთავს შეედავა ქალი. — უფრო ნდობა სჭარბობს, დიდებისადმი გულუბრყვილო ნდობა". ცალი ხელი მაღლა ჰქონდათ აწეული, როგორც პარადზე სწევენ ხოლმე ბავშვები დამუშტულ თითებს; ოღონდ, ამჯერად, საპარადოდ და საზეიმოდ არ იყო გაშვერილი სამუდამოდ დაღადღული ხელები. დაღი თითოეულის ხელის ზურგს ცხადად და აშკარად ეტყობოდა. ამ მაღლა აწეულ პატარა ხელებს სასიკვდილოდ გასაგზავნად ითვლიდნენ დიდები.

მარცხენა კედელთან, ქვედა თაროზე ფეხსაცმელები ეყარა, ყველა კარგა ხნის ნახმარი და გაცვეთილი (ახლებს აქაური მოსამსახურე პერსონალი თავიანთ შვილებს უგზავნიდა გერმანიაში).

„ეტყობა, მთელი ქვეყნის ბავშვები ერთნაირად გრეხავენ და აფუჭებენ ქუსლებს. ჩემიც ასევე ჰყლეტავს. ალბათ დრეზდენელმა და ბერლინელმა ბავშვებმაც ჯერ ქუსლები ჩაუჭყლიტეს აქედან მიღებულ ახალ ფეხსაცმელებს". — გაიფიქრა ქალმა.

გრძელი ჯოხით შეიარაღებული ლექტორი რუკაზე აჩვენებდა ქალაქებსა და ფაბრიკებს, სადაც საქონელი იგზავნებოდა ოსვენციმიდან.

ფეხსაცმელების ზევით, გრძელ თაროზე ადამიანის თმა იყო ფუჩეჩივით მოქუჩებული. ქერა თმის ვეებერთელა გორა შავისაგან ცალკე იყო გამოყოფილი.

ნელიმ ვერ დაიხსომა რამდენი ტონა თმა იქნა გაგზავნილი რომელიღაც წარმოებაში ლეიბების გასაკეთებლად.

ეტყობა, დიდი რაოდენობა თქვეს, რადგან მის უკან ვიღაცამ წამოიძახა:

Ну и размах!

ქალი შეკრთა.

წელანდელივით ავისმომასწავებლად და ცუდისმთქმელად მოეჩვენა ეს ხმა, აშკარად აღტაცების ტონით იყო წარმოთქმული ეს სამი სიტყვა. თითქოს, ამის თქმით მთქმელს თავისი აღფრთოვანებისა და გაოცების გამოხატვა უნდოდა დაუფარავად.

ქალმა მოიხედა.

უკან სატანისეული იდგა.

თვალებიდან მწვანე ცეცხლს აკვესებდა. მაგრად დამუშტული თეთრი ხელები მოაჯირზე ეწყო. სახიდან ნიღაბი ჩამოეხსნა და იღიმებოდა, როგორღაც ბედნიერად, თითქოს საზეიმოდ იღიმებოდა. თითქოს ამ ღონისძიებათა დიდ მასშტაბებს ძალიან გაეოცებინა, მაგრამ, გაეხარებინა კიდეც.

„ოღონდ გრანდიოზული ერქვას და ეტყობა, ამისათვის სულერთია სისხლის ტბა იქნება თუ საკონცერტო დარბაზი" — ზიზღით გაიფიქრა ქალმა და მოულოდნელად გაუგებარმა შიშმა აიტანა.

უცებ პამიდორის მოსაპარად გაწეული ფუნთუშა ხელი წარმოუდგა თვალწინ, მერე ის ხელი როგორღაც გადაეჯვარედინა დაღდასმულ და ჰაერში გაშვერილ დამუშტულ ხელებს. პატარა მკლავები ტყესავით გახშირდა, ერთმანეთში აირია. ახლა კლავიშებზე აცურებული და როიალის სახურავზე არეკლილი ოთხი ხელი შეერია დადაღულებს.

ქალმა თვალები მაგრად დახუჭა და უცებ მოეჩვენა, რომ ის მაგრად დამუშტული ხელები მკვლელის ხელები იყო, ძალიან ძლიერი და ძალიან საშიში მკვლელისა.

—ხელები! — ქალის კივილი ყუმბარასავით გავარდა და მყუდროებაშეჩვეულ დერეფნებში მრავალეხოდ განმეორდა.

ხმა ჯერ არ გამქრალიყო და გულწასული ქალი იატაკზე ეგდო უკვე.

— გივი მიშველე! — გააყრუა დერეფნები ნოდარის ყვირილმა.

გულგახეთქილ გივის კარებში სატანისეული შეეფეთა. დინჯი ნაბიჯით გამოდიოდა გარეთ. ცალ ფეხს ოდნავ მიათრევდა.

გულშეწუხებული ქალი ბიჭებმა ეზოში გამოიყვანეს. ჯერ საფეთქლები დაუზილეს სუნამოთი, მერე დაკრუნჩხული ხელები. ვიღაცა ქალმა ვალერიანის წვეთები მიაწოდა, მეორემ შუბლზე დასველებული ცხვირსახოცი დააფარა.

როდის, როდის მოვიდა გრძნობაზე ქალი: მცივაო, — თქვა და ერთიანად აკანკალდა. ვისაც შეეძლო, ყველამ გაიძრო ზედა ტანისამოსი, ქალი შიგ შეფუთეს, მაგრამ მაინც ვერ დაუოკეს კანკალი.

კარგახნის შემდეგ როგორც იქნა გათბა ქალი, სკამზე წამოჯდა. მხრით ქმრის მკერდს მიეყრდნო და ფეხი ფეხზე გადადო.

ცრემლები ღაპა-ღუპით ცვიოდა კალთაზე.

მოულოდნელად მარცხენა ფეხი ჰაერში შეხტა. ქალს გაეცინა. რამდენიმე წამის შემდეგ ფეხმა ის უნებური მოძრაობა გაიმეორა. ქალს კისკისი აუტყდა. ქალი იცინოდა, ხოლო ცრემლები კალთას უსველებდა.

— ნოდარ, მიდი ფეხებზე შემოხვიე ხელები, მე აქ დავჯდები. — გივი ნოდარის შეენაცვლა.

ირგვლივ შემოხვეულ ბიჭებს დანა პირს არ უხსნიდა. ასეთი ძლიერი ისტერიკა ჯერ არც ერთ იმათგანს არ ენახა. ეს დაუმორჩილებელი და თავისნება მოძრაობები და ერთმანეთში არეული სიცილ-ტირილი საოცრად მოქმედებდა თითოეულზე.

ზოგი ამ ამბავს გულში ნელის ნებივრად გაზრდას აბრალებდა: ცხოვრებაში პირველად შეხვედრილ გამოცდას ვერ გაუძლოო.

მეორენი — ქმრის შემოქმედებით წარმატებას. როცა ორივენი ერთად უკრავდნენ, ნოდარის შესრულებით აღტაცებული მეგობრები და მაყურებლები ნელის ხშირად ივიწყებდნენ. ქმარს ეხვეოდნენ, ულოცავდნენ, ცოლს ხელსაც არავინ ართმევდა ხშირად.

სხვები ფიქრობდნენ — ზედმეტად შთაბეჭდილებიანი ქალიაო.

ყველა თავის საბაბსა და საფუძველს უდებდა, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობდა.

ის დღე უგუნებოდ გაატარა ყველამ.

მეორე დღეს ამხანაგებმა თვითმფრინავით გამოამგზავრეს ცოლქმარი.

ერთი კვირის შემდეგ, როცა დანარჩენები მატარებლით შემოსრიალდნენ სადგურში, დამხვდურთა შორის ნელი და ნოდარიც იდგნენ. თან თავიანთი ანცი ბიჭიც მოეყვანათ.

ბიჭი მატარებლისაკენ ცალ ხელს ისე იშვერდა, ლამის მამას მკლავიდან გადმოვარდნოდა. მეორე — ბლონდით სქლად გადაბანდული ხელი კისერზე ეკიდა.

ჩამოსულებმა თავიანთები დაივიწყეს, ყველა ცოლ-ქმარს შემოეხვია. ბიჭს ეფერებოდნენ და თან ხელის ტკენის მიზეზს ეკითხებოდნენ.

— დედაჩემს თმის ვარცხნისას სარჩი მაგიდაზე დაედო. ამ ეშმაკის ფეხს შეუმჩნევლად აეღო და, როცა ნელიმ ოსვენციმში „ხელები" იკივლა, თითქმის იმ დროს ამან ის სარჩი შტეფსელში შეურჭო თურმე. გახმობისაგან ხელი თურმანიძის მალამომ გადაარჩინა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

ნელი ტიროდა.

ოსვენციმში, თითოეულმა იმათგანმა, ვინ იცის, რა მიზეზი არ დაუდო ქალის ისტერიკას, და არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ ის ქალი დედა იყო, ხოლო დედის გულმა მისნობაც იცის და წინათგრძნობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ გდრ ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარესთან ილზე ტილესთან

# გ ე ლ ი თ, მ ე გ ო ბ რ ე ბ ო!



**შეკითხვა:** როგორც ცნობილია, 1975 წელს — ქალის საერთაშორისო წელიწადს, გადაწყდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში — ბერლინში მოწვეულ იქნეს მსოფლიოს ქალთა კონგრესი. როგორ შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას გდრ-ის ქალთა დემოკრატიულ კავშირში?

**პასუხი:** მე ვმონაწილეობდი ყველა შეხვედრასა თუ კონფერენციაში, რომლებზეც განიხილებოდა მსოფლიოს ქალთა კონგრესის ჩატარების საკითხი. ჩვენ თავიდანვე მხარს ვუჭერდით ქსდფ-სა და სხვა საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციების ამ ინიციატივას, ვმსჯელობდით, რა წვლილი უნდა შეგვეტანა ამ მშვენიერი და მნიშვნელოვანი იდეის განხორციელებაში და ნამდვილად ბედნიერად ჩავთვალე თავი, როცა ჩვენი კავშირის სახელით შევთავაზე კონგრესის გდრ-ს დედაქალაქში ჩატარება.

ჩვენი წინადადება მიიღეს და ამან ქალთა დემოკრატიული კავშირის წევრებში დიდი სიხარული და ენთუზიაზმი გამოიწვია.

მაგრამ ჩვენ ისიც მშვენივრად ვიცით, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენს თავზე და მზადა ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ კონგრესს ნაყოფიერი მუშაობისათვის აუცილებელი პირობები შევუქმნათ.

გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქალთა დემოკრატიულ კავშირში ჯგუფური ხელმძღვანელობის არჩევნები ჩატარდა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ჯამდებოდა ჩატარებული მუშაობის შედეგები და განიხილებოდა ამოცანები, რომლებიც ჩვენი კავშირის X ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრების დროს წამოიჭრებოდა. ყოველი გამოსვლა ამ კრებებზე გამსჭვალული იყო სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ისინი ნათელყოფდნენ, თუ რა ერთიანობა და გულწრფელი მეგობრობა აკავშირებთ ჩვენი რესპუბლიკის ქალებს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, ნათელყოფდნენ სოლიდარობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ადამიანთან, კრებების მონაწილეები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ სწორედ ჩვენი სოციალისტური სამშობლო უმასპინძლებს ქალთა საერთაშორისო კონგრესის დელეგატებსა და სტუმრებს. ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა ამ ფორუმს ქალის საერთაშორისო წლის ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნევს.

**შეკითხვა:** როგორ შედეგებს მოელით კონგრესის მუშაობიდან?

**პასუხი:** კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვლენ ყველა კონტინენტის ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები, და ვფიქრობ, მათ მიერ გაწეული მუშაობა ხელს შეუწყობს იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ წამოაყენა ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით. ამაშია ამ ფორუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა. კონგრესი იქნება ქალთა უდიდესი, ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი შეხვედრა, რომელზედაც მათ შეუძლიათ შეაფასონ თავისი მდგომარეობა საზოგადოებაში, მოახდინონ აზრთა გაცვლა-გამოცვლა აქტუალურ პრობლემებზე, გამოიმუშაონ თავიანთი მოთხოვნები, განიხილონ თანასწორუფლებიანობისათვისა და ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ქალთა კონგრესს — მისთვის სამზადისს, მის მუშაობასა და შემდეგ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას დიდი მამობილიზებელი მნიშვნელობა ექნება და ის ქალთა უფლებებისა და სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის მებრძოლ, სხვადასხვა მიმართულების ორგანიზაციათა თანამშრომლობის თავისებურ ბაზად იქცევა.

**შეკითხვა:** თქვენ ბრძანეთ, გდრ-ის ქალთა დემოკრატიული კავშირი თავის X ყრილობისათვის ემზადებაო. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ექნება ამას ქალთა მსოფლიო კონგრესისათვის?

**პასუხი:** ანგარიშგება-არჩევნების კრებები და კონფერენციები საშუალებას იძლევა ინფორმაცია მივაწოდოთ მის ყველა წევრს ქალის საერთაშორისო წლის მიზნებსა და ამოცანებზე, მომავალ მსოფლიო კონგრესზე, უკვე გამოითქვა მრავალი საინტერესო იდეა და საქმიანი წინადადება, იგრძნობა საერთო სწრაფვა კონგრესის სამზადისსა და მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ყველას კარგი სამუშაო განწყობილება გვაქვს.

ქალის საერთაშორისო წელიწადი ჩვენ გვინდა ფართოდ გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის გაძლიერებისა და გდრ-ს ქალთა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით უფრო აქტიური აღზრდისათვის. ჩვენ დაწვრილებით მოვუთხრობთ მათ საზღვარგარეთის ქალთა ცხოვრებასა და ბრძოლაზე, ვეცდებით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი კავშირები და კონტაქტები სხვა ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან.

**შეკითხვა:** როგორ შეეგებება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოს ქალთა კონგრესის სტუმრებს?

**პასუხი:** 1973 წლის აგვისტოში გდრ-მ და მისმა დედაქალაქმა ახალგაზრდობის X მსოფლიო ფესტივალის დელეგატები მიიღო. ეს იყო დედამიწის ყველა ხალხის მეგობრობის დაუვიწყარი დღეები, საერთაშორისო სოლიდარობის დღეები. და ჩვენ ყველაფერს მოვიმოქმედებთ იმისათვის, რომ კონგრესზე ჩამოსული ქალიშვილებიც, ქალებიცა და დედებიც თავს კარგად გრძნობდნენ. ისინი გაეცნობიან ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.

პირადი კონტაქტებით, შეხვედრებით, საუბრებით, მიწერ-მოწერით მე ვიცი, რომ ძალიან ბევრს აინტერესებს, თუ როგორ ცხოვრობს ქალი სოციალისტურ საზოგადოებაში. კონგრესის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ ეს ინტერესი დაიკმაყოფილონ. დელეგატები თვითონვე დარწმუნდებიან, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში არსებობს ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობა, რომ ქალები და ქალიშვილები ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები არიან.

# 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

მიმდინარე წელი მეტისმეტად მნიშვნელოვანია მსოფლიოს ქალთა პროგრესული მოძრაობისათვის. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შექმნის 30 წელი ემთხვევა ქალის საერთაშორისო წელს, რომელიც ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. 1975 წელი კაცობრიობის ისტორიაში შევა, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში ქალის ისტორიულად განპირობებული როლის საყოველთაო აღიარების დადასტურება.

აი, რას ამბობენ ცნობილი ბულგარელი მოღვაწე ქალები ამ საყურადღებო მოვლენების შესახებ.

# რადა ტოდოროვა

**ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი.**

როცა 1910 წელს კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღენიშნათ 8 მარტი ყოველწლიურად, როგორც მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, მაშინ ისინი სულ რაღაც რამდენიმე ათასი იყვნენ და ვერც კი იფიქრებდნენ, რომ 65 წლის შემდეგ ეს დღე ასეულ მილიონობით ქალის დღესასწაულად გადაიქცეოდა.

8 მარტის ზეიმით აღნიშვნის პოპულარიზაციაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რომელიც მიმდინარე წელს თავისი არსებობის 30 წელს აღნიშნავს. 30 წლის წინათ სხვადასხვა ქვეყნის ქალები, რომლებმაც განიცადეს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, გაჭირვება და უბედურება, მიხვდნენ, რომ მათ უკვე აღარ შეუძლიათ პასიურად უცქირონ პოლიტიკური მოვლენების განვითარებას და გადაწყვიტეს გააერთიანონ თავიანთი ძალები მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის საბრძოლველად.

და აი, ამ აზრით შთაგონებული სხვადასხვა ქვეყნის პროგრესულ ქალთა წარმომადგენლები, ომის გზების — დანგრეული და გადამწვარი ქალაქებისა და სოფლების გავლით ჩავიდნენ პარიზში ქალთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე და დააარსეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფერედაცია. იქვე დადეს ფიცი — იბრძოლონ მშვიდობისათვის, საზოგადოებაში ქალისათვის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, ბავშვთა დასაცავად. ფედერაციამ მიიღო მსოფლიოში ქალთა ყველაზე პროგრესული მოძრაობის — სოციალისტური მოძრაობის იდეები და კვლავ აღიარა 8 მარტის დღესასწაული ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია თავის ყოველწლიურ მიმართვაში საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით ქალთა მოძრაობის წინაშე სახავს კონკრეტულ ამოცანებს. მაგრამ ფედერაციის მთავარი ამოცანები მაინც ყოველთვის უცვლელია. ეს გახლავთ ბრძოლა მამაკაცებთან ქალთა სრული თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობისათვის, ბავშვთა მდგომარეობისა და მათი დემოკრატიული აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ორივე სქესის თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას რამდენიმე ასპექტი გააჩნია. ქალებმა თითქმის ყველა ქვეყანაში მოიპოვეს პოლიტიკური უფლებანი, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს უფლებანი არსებითად არჩევნებში მონაწილეობით არის შემოფარგლული, ხოლო თვით ხელისუფლების არჩევით ორგანოებში ქალის მონაწილეობა სავსებით უმნიშვნელოა. ქალებმა მოიპოვეს შრომის უფლება. როგორც ცნობილია, მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა შექმნაში ჩაბმულთა ერთ მესამედს ქალები შეადგენენ, მაგრამ არსად (გარდა სოციალისტური ქვეყნებისა) მათი კვალიფიკაციისათვის არავინ არ ზრუნავს. ამიტომ ქალები ხშირად ასრულებენ ყველაზე არაკვალიფიციურ და ყველაზე დაბალხელფასიან სამუშაოს. კაპიტალისტური ქვეყნების დიდ ნაწილში ქალები ერთიდაიმავე სამუშაოს შესრულებისას უფრო ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე მამაკაცები. მილიონობით ქალი წერა-კითხვის უცოდინარია.

ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახისა და ქორწინების კანონმდებლობა ქალს მამაკაცთან არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, ზოგიერთში კი არც არსებობს კანონი, რომელიც ოჯახში ქალის მდგომარეობას განსაზღვრავდეს. ჯერ კიდევ მოქმედებს ათასგვარი რელიგიური დოგმები და ძველი წეს-ჩვეულებანი. ადგილი აქვს მრავალცოლიანობას. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა გლეხი ქალებისა, რომელთა შრომა თითქმის არავითარი კანონით არ რეგულირდება.

ბევრ ქვეყანაში ქალთა ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წევრები არიან, თანდათან უფრო აქტიურად მოქმედებენ, ატარებენ კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, სხვადასხვა პეტიციებზე ხელისმოწერას, დეპუტატებისა და სენატორების წინაშე აყენებენ წინადადებებს, ატარებენ აქციებს არაბი ხალხების დასაცავად, ისრაელის აგრესიის, ჩილეში ფაშისტური ხუნტის აღვირახსნილობის, სხვა ქვეყნებში ფაშისტთა გამოსვლების, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. ხშირად დემონსტრაციები იღებენ მასობრივ ხასიათს, მათ უერთდება ქალთა ის ორგანიზაციებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წევრებს. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მზარდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1975 წელი ქალის საერთაშორისო წლიწადად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით ქალთა თითქმის ყველა ეროვნულმა ორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქალთა თანასწორუფლებიანობის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენა ლაგადინოვა

ბულგარელ ქალთა
კომიტეტის თავმჯდომარე.

ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობამ მთელ ბულგარელ ხალხს დაუსახა ახალი დიდი ამოცანები: თითოეული ბულგარელი ქალის ვალია შეიტანოს თავისი წვლილი ამ ამოცანების განხორციელებაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ქალებმა და დედებმა შესანიშნავად იციან, რომ მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება, ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარება, რასთანაც დაკავშირებულია თვით ქალების სოციალური განვითარება და მათი შვილების მომავალი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იშრომებენ იმისათვის, რომ შეასრულონ და კიდევაც გადააჭარბონ მეექვსე ხუთწლედით დასახულ ამოცანებს.

ჩვენ დაგვიდგა დაძაბული შრომის წელი, ამ წელს არამარტო უნდა შევასრულოთ ახალი ამოცანები, არამედ დავამთავროთ ის, რაც დაწყებული იყო 1974 წელს. ამიტომ ბრძოლა მაღალი საზოგადოებრივი შრომითი ნაყოფიერებისათვის, ნედლეულის ეკონომიისათვის, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ჩვენი — რიგითი მშრომელების, სპეციალისტების, საზოგადო მოღვაწეების პირველხარისხოვანი ამოცანაა.

როგორც ცნობილია, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ ატმოსფეროზე, რაც გამეფებულია შრომით კოლექტივში. ჯანსაღი კოლექტივი ზრდის პოლიტიკურად მომწიფებულ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია შეახამოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. და ჩვენ, ქალები, მცირე როლს როდი ვასრულებთ საკეთილო კლიმატის შექმნაში იქ, სადაც ვმუშაობთ — წარმოებაში, მომსახურების სფეროში, ჯანმრთელობის დარგში, ყველა შრომით კოლექტივში. ჩვენ განუხრელად უნდა ვიხელმძღვანელოთ წესით: ადამიანებს მოექეცი ისე, როგორც შენ გსურს მოგექცენ ისინი. ჩვენი დამოკიდებულება ირგვლივ მყოფებთან უნდა იყოს თბილი, კეთილგანწყობილი, ამხანაგური. საჭიროა გვახსოვდეს, რომ საზოგადოების სამსახური არამარტო მატერიალური კეთილდღეობის შექმნით შეიძლება, არამედ იმითაც, რომ შრომით კოლექტივში შევქმნათ კარგი განწყობილება.

თანამედროვე ბულგარელი ქალი არ უნდა შემოიფარგლოს სანიმუშო მშრომელის როლით, ამასთან იგი ვალდებულია გახდეს თავისი შვილების ღირსეული აღმზრდელი, ხელი შეუწყოს მათი სოციალისტური შეგნების ფორმირებას, ჩაუნერგოს მათ შრომისადმი სიყვარული და პატივისცემა.

ინტერნაციონალისტმა ბულგარელმა ქალმა უნდა შეიგნოს, რომ ამრავლებს რა ჩვენი საზოგადოების სიმდიდრეს, ამით ხელს უწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების განმტკიცებას, თავისი პირადი მაგალითით იგი შთააგონებს მილიონობით ქალს საზოგადოებასა და ოჯახში მამაკაცებთან სრული თანასწორუფლებიანობისათვის, ახალი სოციალური წყობილებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად.

დაე, ეს წელი იყოს ღირსშესანიშნავი იმ მხრივაც, რომ დავიწყოთ სერიოზული საუბარი ქალთა დამოკიდებულების შესახებ იმ მატერიალურ და სულიერ ფასეულობასთან, რასაც მათ აძლევს ჩვენი საზოგადოება. ჩვენ გვახარებს ის, რაც აქამდე მიიღო ბულგარელმა ქალმა, განსაკუთრებით კი ბოლო ორი წლის მანძილზე, ე. ი. მას შემდეგ, რაც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოიტანა გადაწყვეტილება განვითარებადი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების ძირითად მიმართულებათა შესახებ. ეს გადაწყვეტილება, რომელიც გასულ წელს მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, გახდა სახელმწიფო პოლიტიკად. სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა ჰქმნის სულ უფრო და უფრო კეთილმყოფელ პირობებს იმისათვის, რომ ქალს ჰქონდეს სწავლის, მუშაობის და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა. ამიტომ ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, რაც შეიძლება ღრმად განიმსჭვალოს ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი ხალხისადმი მოვალეობის გრძნობით. ტყუილად როდი ამბობენ: ბავშვები — ეს ჩვენი მომავალიაო. და ქალების დამოკიდებულება ბავშვებისადმი უნდა იყოს მათი სულიერი სიმდიდრის საზომი. თუ ქალი გრძნობს, რომ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი მისთვის ბავშვია, არავითარ ობიექტურ მიზეზებს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას შობოს და აღზარდოს ბავშვები. ჩვენი სახელმწიფო ყოველნაირად ხელს უწყობს და ახალისებს დედობას. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ბრძანებულება, რომლის მიხედვით ერთდროული დახმარება პირველი ბავშვის დაბადების დროს 20-დან 100 ლევამდე იზრდება, მეორე ბავშვის დაბადებისას — 200-დან 250 ლევამდე. მესამე ბავშვის გაჩენისას შენარჩუნებულია არსებული დახმარების რაოდენობა — 500 ლევი. 1974 წლის 1 სექტემბრიდან დახმარება ეძლევათ იმ მოსწავლე ქალებს, რომლებიც დედები გახდნენ უმაღლეს ან ნახევრადუმაღლეს სასწავლებლებში შესვლის წინ, მათ რიცხვში შედიან ისინიც, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებენ საშუალო სპეციალურ სკოლებში.

1975 წელი გამოცხადებულია ქალის საერთაშორისო წლად. ბულგარეთში, ისე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ქალის, როგორც სრულფასოვანი პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის ზრუნვა წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის სოციალური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, ქალის საერთაშორისო წელს ექნება თავისი განმასხვავებელი ნიშნები. ჩვენს ქვეყანაში ორივე სქესის თანასწორუფლებიანობასთან, ქალთა სოციალურ განთავისუფლებასთან და საზოგადოებრივ განვითარებაში მათ აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად გადაწყვეტილია. ამიტომ მთავარი ყურადღება, როგორც ეს არის აღნიშნული ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტის პროგრამაში, მიმართული იქნება ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1973 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებებით დასახული ფართო პროგრამის განხორციელებისაკენ. შრომითი კოლექტივები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ფხიზლად შეაფასებენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ პრობლემებისადმი, მონახავენ გზას მათი შესრულებისათვის, ღრმად შეიგნებენ, რომ საქმე ეხება არა ეგრეთწოდებულ „ქალების საკითხს", არამედ პარტიისა და მთავრობის გენერალურ პოლიტიკას.

ჩვენი საზოგადოება ქალს ბევრ რამეს აძლევს, მაგრამ დიდ მოთხოვნილებასაც უყენებს. ყოველმა ქალმა უნდა შეიგნოს, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია შეუქმნას მას პატივისცემა შრომით კოლექტივში, ოჯახში, საზოგადოებაში, თუ თითონ მას არ ახასიათებს მაღალი მორალური თვისებანი, თუ არ ზრუნავს თავისი პროფესიული განვითარებისათვის. თანამედროვე ბულგარელი ქალი, როგორც დედა და მოქალაქე, მუდმივად უნდა ზრუნავდეს თავის სრულყოფაზე, თავის პროფესიულ დაოსტატებაზე, რათა თავისი შრომით გადაუხადოს ამაგი საზოგადოებას, რომელიც ახორციელებს აქტიურ სოციალურ პოლიტიკას, მიმართულს ქალთა ყოველმხრივი განვითარებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე გაიცნო მსოფლიომ

1968 წელს ამერიკულ ჟურნალში მოთავსებული იყო ქართველი დერმატოლოგის, პროფესორ ლუბა შეწირულის პორტრეტი, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მიკოლოგისა.

ნიუ-იორკში გამოდის ყოველთვიური გაზეთი, რომელიც აქვეყნებს სიახლეებს მსოფლიო დერმატოლოგიაში. შარშან გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა წერილი ფრჩხილების ფსორიაზის შესახებ, რომელიც ხშირად შეცდომით დიაგნოზირებულია როგორც სოკოვანი დაავადება. წერილი იწყება ლუბა შეწირულის მიერ პოლონეთის სიმპოზიუმზე წარდგენილი მოხსენებით, შემდეგ კი აღნიშნულია საბჭოთა მეცნიერების — ლ. შეწირულისა და ა. არიევიჩის საინტერესო მეცნიერული დაკვირვებების შესახებ.

ლუბა შეწირულს აქვს დიპლომი პოლონეთის დერმატოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებისა. იგი არის პირველი უცხოელი ქალი, რომელიც არჩეულია ამ საზოგადოების საპატიო წევრად. მას მეორე დიპლომი გამოუგზავნეს იტალიიდან ვენეციაში, დერმატოლოგთა XIV მსოფლიო კონგრესზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების წარდგენის გამო.

ყველგან, დერმატოლოგთა სიმპოზიუმებზე თუ კონგრესებზე — მსოფლიოს ყველა კუთხეში — პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიასა თუ იუგოსლავიაში, ლ. შეწირულის მოხსენებები იპყრობს ყურადღებას, იბეჭდება ადგილობრივ თუ მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურაში, იბადება კონტაქტები, მეცნიერული თანამშრომლობის სურვილები.

ლუბა ომის წლებში უბნის ექიმად იყო აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში. თავის ძალებში ჯერ კიდევ დაურწმუნებელი ექიმი, თერაპევტიც იყო, ქირურგიც, გინეკოლოგიც... ეს იყო ძალების უკიდურესობამდე დაძაბვისა და ამ ძალების გამოცდის წლები. ეს იყო შეუდარებელი სკოლა, რომელმაც მისცა დიდი შრომისმოყვარეობისა და ძიების ჩვევები.

იმედისმომცემი ახალგაზრდა სპეციალისტი მალე შენიშნეს. ამიტომაც ომის მძიმე წლებში გაგრის ჯანმრთელობის განყოფილება, შემდეგ კი სოხუმის კანისა და ვენსნეულებათა რესპუბლიკური დისპანსერი ჩააბარეს. ეს მოხდა მისი სურვილის წინააღმდეგ. და მაშინ პირველი გახსენება ამ დაავადებებისა დაიწყო ინსტიტუტის სახელმძღვანელოთი, რომელიც სწავლების მეოთხე კურსზე დახურა. გახსენებას მოჰყვა დამოუკიდებელი სწავლა და გზის გაკაფვა, რჩევები და ისევ და ისევ მსოფლიოს მეცნიერთა მიღწევების დედანში გაცნობა.

დიდი შრომის შედეგად ლუბა შეწირული გახდა პროფესორი და თბილისის კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ჩვენ მასთან ვართ. ვსაუბროთ მის შრომებზე და გამოკვლევებზე, ინსტიტუტის თანამშრომელთა საქმიანობაზე, ქართველ დერმატოლოგთა მიღწევებზე და დერმატოლოგიის განვითარების პერსპექტივებზე.

იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, აქედან 16 დაბეჭდილია უცხოურ პრესაში. მისი საკანდიდატო შრომა — „სოკოვანი დაავადებები აღმოსავლეთ საქართველოში და მასთან ბრძოლის ორგანიზაციის გამოცდილება“, რომელიც 1957 წელს დაასრულა, გახდა დასაბამი იმისა, რომ დღესდღეობით 4 ათასიდან 200-300 შემთხვევამდე დავიდა ამ დაავადებათა რიცხვი საქართველოში.

ლუბა შეწირულმა თავისი სადოქტორო დისერტაციით — „ტერფებისა და ხელის მტევნების მიკოზები საქართველოში“ მოსკოვის ფართო სამეცნიერო აუდიტორიას მანამდე არსებული მასალების საწინააღმდეგოდ პირველმა წარუდგინა ამ დავადების კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებებისა და ინფექციის ლიმფოჰემატოგენური გზით გავრცელების შესაძლებლობის სურათი.

ინსტიტუტი ვენერულ და კანის გადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სისტემატურად ნერგავს კვლევის შედეგებს მთელი რიგი ახალი, მის მიერ მოწონებული საორგანიზაციო ფორმების სახით.

პროფილაქტიკური ღონისძიებების ფართოდ გატარების შედეგად რესპუბლიკაში რამდენიმე წელია ლიკვიდირებულია თანდაყოლილი ათაშანგი, რბილი შანგრი, ფაუსი (სიქაჩლე) და სხვა.

ამჟამად მსოფლიოში კანის დაავადებებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია სოკოვანი დაავადებები — მიკოზები.

მიკოზები ორგვარია: ზერელე და ღრმასისტემური, რომელიც ორგანიზმის ყველა უჯრედს აზიანებს. ადრე, საქართველოში ღრმა-სისტემური მიკოზის თითო-ოროლა შემთხვევა თუ შეგვხვდებოდა. საყურადღებოა ისიც, რომ ბევრი ავადმყოფი ქირურგებთან და სტომატოლოგებთან სხვადასხვა დაავადებების დიაგნოზით მკურნალობდა. მათი აქტიური გამოვლინების მიზნით ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტმა პროფილაქტიკური გასინჯვები ჩაატარა და 30 ავადმყოფი აღრიცხა. ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მიკოზებს ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლებთან კონტაქტში სწავლობენ, იკვლევენ მათ როგორც ეპიდემიოლოგიური მიმართულებით, ასევე პათოგენეზისა და კლინიკური მიმდინარეობის თვალსაზრისით.

ინსტიტუტში დანერგილია ელექტრონული და ლუმიენსცენტური მიკროსკოპების გამოყენება, რაც მთელ რიგ კანის დაავადებათა განვითარების პროცესების მექანიზმის ღრმა შესწავლის საშუალებას იძლევა.

ინსტიტუტი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს საორგანიზაციო-მეთოდურ და საკონსულტაციო დახმარებას უწევს, ყოველწლიურად ატარებს გამსვლელ სარაიონთაშორისო სემინარებს მეცნიერების უახლესი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, აწყობს ექსპედიციებს მთიან რაიონებში (მესტია, დუშეთი, ახალციხე და სხვა). აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობას დერმატომიკოზების მკურნალობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უტარდება.

ტერფების მიკოზების ძირითადი გამომწვევი ტრიქოფიტონია, რომლის შესახებაც დიდი ყურადღებით მოისმინეს პროფესორ ლუბა შეწირულის მოხსენებები დერმატოლოგთა XIV საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებმა ვენეციაში: „წითელი ტრიქოფიტონით გამოწვეული კანის ატიპიური ფორმები", და „წითელი ტრიქოფიტონის ელექტრონული მიკროსკოპით შესწავლის შედეგები". მოხსენებებმა მაღალი შეფასება მიიღო.

ინსტიტუტი ბოლო წლებში ფართოდ იყენებს იმუნოლოგიური კვლევის მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ორგანიზმის რეაქტიულობის განსაზღვრა და მკურნალობის მეთოდების შერჩევა.

დიდ მუშაობას ატარებენ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები სამრეწველო საწარმოებში კანის პროფესიული და ჩირქოვანი დაავადებების შესასწავლად და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების შესამუშავებლად. ისინი ადგილზე ეცნობიან კანის პროფესიული დაავადებების განვითარების მიზეზებს და დაწესებულების თუ საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად სახავენ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად. დაავადებულებს კი, რა თქმა უნდა, ადგილებზე მკურნალობენ.

ამჟამად ინსტიტუტში დაიწყეს გენეტიკური თვალსაზრისით მთელი რიგი ქრონიკული, მძიმე დერმატოზების (ფსორიაზი, ეგზემა, პემფიგუსი და სხვა.) შესწავლა, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია. პრაქტიკა და დაკვირვებები ამტკიცებს, რომ ფსორიაზის განვითარებაში მემკვიდრეობასაც აქვს მნიშვნელობა. ამ საკითხის გენეტიკური თვალსაზრისით შესწავლა მეცნიერებს ახალი სიტყვის თქმის უფლებას მისცემს.

წელს თბილისის კანისა და ვენერულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს 40 წელი უსრულდება. ვენერული და კანის გადამდები დაავადებების შემცირება, ქრონიკული, მძიმე დერმატოზების პათოგენეზის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების მეცნიერული გადაჭრა, რესპუბლიკის ბალნეოლოგიური ფაქტორების შესწავლა და გამოყენება კანის სნეულებით დაავადებულთა სამკურნალოდ, - ასეთია ინსტიტუტის ამოცანები.



იტალიაში, დერმატოლოგთა XIV მსოფლიო კონგრესზე

მუშაობის შემდგომი გაშლისა და მის მაღალ დონეზე წარმართვისათვის ინსტიტუტის კოლექტივს ბევრი ხელისშემშლელი პირობის დაძლევა უხდება. უახლოესი და უმნიშვნელოვანესი, რის განხორციელებასაც იგი მოელის, ეს არის დერმატოლოგიური კლინიკის აშენება გოგირდოვანი წყაროების მიდამოებში. მაშინ ინსტიტუტს საშუალება ექნება მჭიდრო მეცნიერული კონტაქტი დაამყაროს კალიფორნიის უნივერსიტეტის წამყვან დერმატოლოგთან — ფარბერთან, რომელიც მსოფლიოში ფსორიაზის პრობლემას ხელმძღვანელობს და რომელსაც დიდი სურვილი აქვს ამ საქმეში თბილისის დერმატოლოგიის ინსტიტუტთან სამეცნიერო თანამშრომლობისა. ასეთი სურვილი ნაწილობრივ უკვე განახორციელა პოლონეთის წამყვანმა, მსოფლიო სახელით დერმატოლოგმა, პროფესორმა ს. იაბლონსკამ, რომელმაც 1974 წლის ივნისში თბილისში ჩაატარა სიმპოზიუმი მთელი რიგი ახალი პრეპარატების დერმატოლოგიაში გამოყენების საკითხებზე.

კონტაქტები ბევრია, ძალზე ბევრი. მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის 50-მდე დერმატოლოგთან და მიკოლოგთან ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ლუბა შეწირულის შრომები იბეჭდება უცხოეთში.

...საუბარი წყდება და მე თან მომყვება ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი მისი პორტრეტი — წარმოსადეგი ქალი ქართული მომხიბლაობით.

ლია კაკაბაძე

# დაე, მუდამ იყოს დედა!..

(ზოგი რამ აღზრდის შესახებ)

ავტობუსი ნელა მიუყვება ხუდადოვის აღმართს.

აი ჩემი საბავშვო ბაღიც გამოჩნდა. ეზოში უკვე ფრიალებენ თეთრი „ბაირაღები", რომლებიც მალე ფიანდაზებად დაეფინება პატარა საწოლებს.

ახლა ჩემი აღსაზრდელები ალბათ ტანსაცმელს იცვამენ, პირს იბანენ, ლამაზდებიან.

— მოგივიდათ თქვენი ზეინაბ მასწავლებელი! — მახარობლობს ძიძა-დამლაგებელი.

ბავშვები ჟივილ-ხივილით მეხვევიან, პატარა მტევნებივით აქეთ-იქიდან მეკონწიალებიან, სადაცაა წამაქცევენ...

— ბავშვებო, აბა, ხელები მაღლა ასწიეთ! — ეშმაკურად ვეუბნები მათ და ხელებს მაღლა ვწევ. პატარები ხალისიანად იშვერენ პაწია ხელებს ზევით. „განთავისუფლებული" მაგიდისაკენ მივდივარ, ვდებ ჩანთას და ბავშვებს ვეუბნები:

— მოდით, ვითამაშოთ!

...ასე იწყება ჩემი სამუშაო დღე! დღე — აღსავსე სიცოცხლით, ხალისით, სიხარულით...

მინდა, მკითხველის ყურადღება გავამახვილო ზოგიერთ დედაზე, რომელთა შვილები ჩემი აღსაზრდელები არიან.

. . . . .

პატარა ლელას დედამ კარი შემოაღო. ლელამ უცბად მოჰკრა თვალი დედას და ჩიტივით მიფრინდა მასთან.

— მომწყდი, შენი თავი არა მაქვს! სამუშაოდან მოვდივარ დაქანცული, — ხელით მოიცილა დედამ ბავშვი.

„დაქანცულს" სკამი მივაწოდე და მეც იქვე ჩამოვჯექი.

— აიყვანეთ ბავშვი, — ვთხოვე თითქმის მუდარით.

მან ბავშვს ხელი დაავლო და მუხლებზე მწყრალად დაიხეთქა...

პატარას გული ამოუჯდა და ტირილი მორთო.

ბავშვი ავიყვანე და მკერდში ჩავიხუტე.

.

ცელქ ბიჭუნას დედამ ისეთი უთაქა, რომ პატარამ წონასწორობა დაკარგა...

— რას სჩადით! — ველარ შევიკავე თავი.

— მეხიც ამათ დასცემიათ, შემიჭამეს გული! — ქოქოლა მიაყარა შვილებს...

— საოცარია, სამი შვილი შობეთ ისე, რომ არ გიყვართ ისინი?!

— იჰ, სულ ჩემი ქმრის ბრალია, თორემ მე ერთსაც არ გავაჩენდი...

. . . . .

არიან ისეთი დედებიც, რომელთა გადამეტებული ზრუნვა საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

გასულ წელს ერთმა ჩვენმა აღსაზრდელმა, 5 წლის ბიჭუნამ ჩამრთველი მოიტანა; ჩამრთველზე გამობმული იყო გამტარი, რომელსაც ორივე ბოლო ღია ჰქონდა. ბავშვმა მოსვლისთანავე ჩამრთველი ელექტროქსელში ჩართო, მას ინტერესით მისჩერებოდა რამდენიმე ბავშვი.

თვალი შევასწარი ამ თამაშს, სწრაფად მივიჭერი ბავშვებთან, ჩამრთველი გამოვთიშე და გაფითრებული კედელს მივეყრდნე...

როდესაც ჩამრთველი მშობელს გადავეცი და მომხდარის შესახებ ვუამბე, ასე მიპასუხა:

— რა მექნა, გაჭირვეულდა, სამსახურში მაგვიანდებოდა, უცბად ჩამრთველი მომხვდა ხელში და ის მივეცი, წასვლისას კი სიჩქარისაგან გამორთმევა დამავიწყდა... არ მეგონა თუ ეცოდინებოდა მისი გამოყენების წესი...

. . .

ორი წლის გოგონამ დედას თმიდან სარჭი ამოაძრო. რამოდენიმე წუთის შემდეგ, ფეხის ცერებზე შემდგარი ბავშვი ცდილობდა მისწვდომოდა ელექტროჩასართველს, ადვილი წარმოსადგენია, რაც ასეთ შემთხვევას მოყვებოდა, რომ მისი საქციელი აღმზრდელის ფხიზელ თვალს არ შეემჩნია.

საბავშვო ბაღში მოყვანის პირველსავე დღიდან იწყება ბავშვების დასამშვიდებლად „ქრთამის" გაცემა....

მშობელი მზად არის ყოველგვარი კაპრიზი შეუსრულოს პატარას, „ოღონდ არ იტიროს" და ისე წაყვეს საბავშვო ბაღში. ჯიბეს უვსებს კამფეტებით, რომელთაც, ბუნებრივია მაშინვე მიირთმევენ „ქრთამის ამღებნი"; მერე ჭამის მადა უქვეითდებათ და გემრიელად აღარ საუზმობენ ამხანაგებთან ერთად. ასევე „ქრთამის" სახით მიცემულ ხილს ან ნამცხვარს მიირთმევენ ხოლმე ბავშვები გზადაგზა საბავშვო ბაღში მომავალნი. ეს კი, გარდა იმისა, რომ უკულტურო ჩვევებს ნერგავს ბავშვში, აშკარად ეწინააღმდეგება წესს — ჭამა დავიწყოთ და დავამთავროთ მაგიდასთან. ხშირ შემთხვევაში ასეთი „მსუნაგები" წინააღმდეგობას გვიწევენ, რათა დედის გამოტანებული კამფეტი, ხილი ან ნამცხვარი შევუნახოთ სადილის, საუზმის დამთავრებამდე და სხვ.

— დედიკომ მომცა! — ჯიუტად აცხადებენ ისინი.

„მზრუნველ დედებს" ახასიათებთ აგრეთვე ბავშვების ზედმეტად ჩაფუთვნა, იმის შიშით, რომ ბავშვი არ გაცივდეს. სინამდვილეში კი პირიქით ხდება.

— დედიკომ მითხრა, ზეინაბ მასწავლებელს უთხარი ეს არ გაგხადოსო, მეუბნება აცრემლებული ბავშვი.

დედის სიტყვა კანონია და უნდა იყოს კიდეც იგი ბავშვისათვის კანონი. მაგრამ ყველა სიტყვა ხომ არ შეიძლება კანონად ვაქციოთ. მთავარია რა სარგებლობას მოუტანს იგი ბავშვს.

მაშ რა ქნას მასწავლებელმა, განა შეგვიძლია ვუცქიროთ აუღელვებლად ხახვივით შეფუთულ ბავშვს, რომელსაც ასე ძალიან ესაჭიროება მოძრაობა?... შეიძლება ბავშვი წარმოვიდგინოთ ხტუნვის, თამაშის, ცეკვის გარეშე?

დილით, როგორც წესი, მეტი სიცივეა, ვიდრე შუადღისას, რას ფიქრობს დედა, რომელიც დილას თბილად აცმევს ბავშვს და არიგებს უთხრას მასწავლებელს — არ გახადოს მას ტანსაცმელი. ასეთი „მზრუნველობა" აფერხებს ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, გაკაჟებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ბავშვის დარწმუნება იმაში, რომ მისი დედა მართალი არ არის, ძნელიც არის და უხერხულიც.

ზოგჯერ სარგებლობენ რა მშობლების უკონტროლობით, ბავშვებს საბავშვო ბაღში მოაქვთ საცობები, კოჭის ძაფები, ღილები, პომადა, სუნამო, ქინძისთავები, თმის სარჭები და სხვ. გვქონდა შემთხვევა, როდესაც ბავშვმა საბავშვო ბაღში მოიტანა ოქროს საათი ოქროსივე სამაჯურით. ეს ნივთი მას ფეხსაცმელში ჰქონდა შენახული.

დაუფიქრდით დედებო, ხომ არაა ეს, რაიმე მავნე ჩვევის საწყისი?!

მშობლები ხშირად ბავშვებს საბავშვო ბაღში ატანენ სათამაშოებს. იგი მარტო თამაშობს საკუთარი სათამაშოებით, არავის ანებებს, არ მონაწილეობს კოლექტიურ თამაშში, ეს კი ხელს უწყობს ბავშვში კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

ნუ მიაჩვევთ ბავშვს დაასაჩუქროთ იმისათვის, რომ საბავშვო ბაღში აუტირებლად წამოგყვეთ. თქვენი „ქრთამით" უნებლიედ დგებით ჩვენსა და აღსაზრდელებს შორის, ხელს გვიშლით, შევაჩვიოთ ბავშვი ახალ გარემოს, შევაყვაროთ ამხანაგები, კოლექტივი, აღვზარდოთ მათში კეთილშობილური ჩვევები!

**ზ. მდინარაძე,**

**№ 1 სანატორიული ბაგა-ბაღის აღმზრდელი-მასწავლებელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამის კადრება არ შეიძლება!

სულ ახალგაზრდა იყო ეთერ კიკნაძე, როდესაც მუშაობა დაიწყო ა/კავკასიის რკინიგზის ავჭალის სადგურში ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლად. ენერგიულმა გოგონამ მალე თანამოსაქმეთა პატივისცემა დაიმსახურა. იმ ობიექტებზე (კონიაკისა და შამპანური ღვინოების ქარხნების პროდუქციის მიღება-ჩაბარებაზე), სადაც იგი მიმაგრებული იყო, ჯარასავით ტრიალებდა, ტვირთის დაუზიანებლად და დროულად ჩაბარებისათვის ყოველთვის მადლობას იმსახურებდა. მალე თავისი ბედი მან ხის დამამუშავებელი ფაბრიკის მუშას — დიმიტრი გველესიანს დაუკავშირა. ახალგაზრდა ცოლქმარი მცხეთაში, რუსთაველის ქუჩა № 15 რკინიგზელთა სახლში დაბინავდა.

ეთერი და დიმიტრი მუყაითობდნენ. ახლადშექმნილმა ოჯახმა ფეხიც კარგად მოიკიდა. სულ მალე ოჯახმა პირველი სიხარული იზეიმა — ეთერის ვაჟი შეეძინა. ორი წლის შემდეგ ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი — პატარა ნინო შეემატა. ცოლ-ქმარმა კიდევ უფრო უმატა შრომა გარჯას, თანაც პატარებს ფარვანასავით თავს დატრიალებდნენ. ასე მიდიოდა თვეები, წლები...

ერთ გაზაფხულზე ეთერს გოგონა განსაკუთრებით ფერმკრთალი და გამხდარი ეჩვენა. ექიმმა ურჩია, ბავშვი სურამის სანატორიუმში წაიყვანეო. ცოლ-ქმარმა ითათბირა და გადაწყვიტა, საგზური ეშოვნათ. ეთერს სამსახურიც ისეთი ჰქონდა, სამ დღეში ერთხელ მუშაობდა, იფიქრა, ბავშვს ხშირად ჩავაკითხავ და ორ-ორ დღეს თავზე დავადგებიო...

ქვეყნად კეთილ ხალხს რა დალევს და ნინოსათვის საგზური სულ მალე იშოვეს. 1973 წლის 29 აპრილს, როდესაც ეთერი გრაფიკით ისვენებდა, ნინო სურამში, ბავშვთა სანატორიუმში წაიყვანა. მაგრამ ჩასვლისთანავე ბავშვს ტემპერატურა რომ გაუზომეს, მაღალი სიცხე აღმოაჩნდა.

სანატორიუმის მედპერსონალმა ჩვეული მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა. დედასა და ბავშვს ცალკე ოთახი გამოუყვეს, ავადმყოფს მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ.

„რა მეშველება, ხვალ რომ სამუშაოზე უნდა ვიყო!“ — ფიქრობდა გულშემოყრილი ქალი. — სადგურის უფროსიც ახალი კაცია. მაგრამ რა ვქნა — დეპეშას გავგზავნი. თვითონაც ხომ მამაა — არ შეიძლება, არ გამიგოს. და 30 აპრილს ეთერიმ დეპეშა გაუგზავნა სამსახურში გრიგოლ სვანიშვილს: ბავშვის ავადმყოფობის გამო სამსახურში ვერ გამოვცხადდებიო.

9 მაისს, როცა ნინომ ცოტა მოიხედა, ეთერი სამუშაოზე გამოცხადდა. და რადგან სადგურის უფროსი იმ დღეს სამუშაოზე არ იყო, საავადმყოფო ფურცელი სადგურის უფროსის მოადგილეს წარუდგინა და მუშაობას შეუდგა.

12 მაისს ეთერიმ უფროსი შვილი — შოთაც საავადმყოში დააწვინა. ბიჭუნას წითელა დისგან გადასდებოდა. რადგან ბავშვი მძიმედ იყო, დედა ახლა იმას დაადგა თავზე და კვლავ ავადმყოფობის ფურცელი აიღო.

თითქმის ოცი დღე თვალი არ მოუხუჭავს ეთერის. და თუმცა ბიჭი ჯერაც მომჯობინებული არ ყავდა, მაგრამ 22 მაისს, მიუხედავად იმისა გადაღლილი და თითქმის არაქათგამოცლილი იყო, მაინც გამოცხადდა სამუშაოზე. ის-ის იყო თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, რომ ეთერის სადგურის უფროსთან უხმეს.

სადგურის უფროსის უხეშმა ხმამ კარის ზღურბლზევე გააშეშა ქალი.

— ნეტავ, რას მოდიოდი! უფროსების ხათრი შენ არა გაქვს და სამუშაო შენ არ გიყვარს. ახლა შეგიძლია შენს ჭკუაზე ისეირნო, სამუშაოდან განთავისუფლებული ხარ!

— რას ამბობთ, პატივცემულო უფროსო, — ელდა ეცა ქალს. — 1958 წლიდან აქ ვმუშაობ და ჩემთვის ჯერ კაციშვილს არ უთქვამს, ზარმაცი ხარ და მუშაობა არ გიყვარსო. ორივე ბავშვი მძიმე ავად მყავდა, დეპეშაც გამოგიგზავნეთ და თან ავადმყოფობის ფურცელიც აქა მაქვს.

— დეპეშა და ავადმყოფობის ფურცელი არ ვიცი მე! სამუშაოზე აღარ დაუშვათ და არც ავადმყოფობის ფურცელი გაუნაღდოთ, — გასცა განკარგულება გრიგოლ სვანიშვილმა და კაბინეტის კარები ცხვირწინ მიუჯახუნა ატირებულ ქალს.

სვანიშვილით როდი იწყება და თავდება ქვეყანაო, — დაიმშვიდა გული ეთერმა. პარტიის ლენინის რაიკომს მიაკითხა. იქ ყურადღებით მოუსმინეს, საქმეში ჩაერივნენ და მხოლოდ ამის შემდეგ აუნაზღაურდა ავადმყოფობის ფურცელით კუთვნილი თანხა.

მიუხედავად ბიულეტენის განაღდებისა და პარტიის რაიკომის მითითებისა, სადგურის უფროსმა ეთერი კიკნაძე სამუშაოზე მაინც არ დაუშვა.

ამ თვითნებობის გამო ეთერმა განცხადებით მიმართა ა/კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსს ამხ. იოსელიანს. მან ყურადღებით მოუსმინა და 1973 წლის 3 აგვისტოს წერილით გააფრთხილა სვანიშვილი, სამუშაოზე დაეშვა ეთერ კიკნაძე, მაგრამ სვანიშვილი გაჯიუტდა.

თითქმის წელიწადი და ორი თვე იარა საჩივრებით სხვადასხვა ინსტანციებში ეთერ კიკნაძემ. 1974 წლის 19 ოქტომბერს ა/კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა კვლავ კატეგორიულად მოსთხოვა გ. სვანიშვილს სამუშაოზე დაეშვა ქალი, მაგრამ ის არც ახლა დაემორჩილა უფროსის განკარგულებას.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ ავღწერეთ, თუ როგორ ისესხა ეთერიმ მეზობლებში ფული და როგორ ჩავიდა მოსკოვში თავისი ორი მცირეწლოვანი ბავშვით. საკავშირო პროფსაბჭოში გულდასმით მოუსმინეს ორი შვილის დედას და მათი მითითების შემდეგ, ა/კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა 1974 წლის 18 მარტის № 142 ბრძანებით ეთერ კიკნაძის მიერ სამუშაოს გაცდენის მიზეზი მართებულად ჩათვალა და აუნაზღაურა 3 თვის განაცდური ხელფასი. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ეთერი 20 მარტიდან სამუშაოს უნდა შესდგომოდა.

ალბათ, მკითხველი იფიქრებს, გ. სვანიშვილის თვითნებობას ახლა მაინც მოეღო ბოლოო, მაგრამ უკაცრავად. უფროსი კვლავ

ჯიუტობს და ეთერ კიკნაძეს არც ახლა უშვებს სამუშაოზე. კიდევ მეტი, თავის თანამშრომლებს აიძულებს ფიქტიურ ოქმებზე მოაწერონ ხელი, თითქოს კიკნაძე სამუშაოზე არ ცხადდება და ამის შესახებ მოახსენებს ა/კავკასიის თბილისის განყოფილებას.

ერთი სიტყვით, სვანიშვილმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა კიკნაძეს. 1974 წლის 25 აპრილს, კვლავ მოწვეულ იქნა სადგურის ადგილკომის სხდომა და ეთერ კიკნაძის საკითხი მის დაუსწრებლად (?) განიხილეს. ვკითხულობთ ადგილკომის სხდომის ოქმს და გაოცებას ვერ ვფარავთ: ადგილკომის სხდომაზე გამოსული ამხანაგები: მჭედლიძე, ჩადუნელი, ბეკურაშვილი, სვანიშვილი, ხოფერია და თვით სადგურის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვივიჰი ერთხმად მოითხოვენ სისტემატური გაფრთხილებისა და გაცდენებისათვის, როგორც უდისციპლინო და გამოუსწორებელი მუშაკი — ეთერ კიკნაძე განთავისუფლებულ იქნეს სამუშაოდან (ტექსტი ზუსტია ზ. მ.).

ასე, სრულიად უსამართლოდ გასწირეს „ამხანაგებმა" უფროსის საამებლად ეთერ კიკნაძე და მათი მხარდაჭერის წყალობით სვანიშვილმა 1974 წლის 20 მაისს №21 ბრძანებით „სისტემატური სამუშაოს გაცდენისათვის" ორი შვილის დედა ქუჩაში გამოაგდო. ამასაც არ დასჯერდა და გული ბოლომდე რომ მოეოხებინა, ბრძანების ამონაწერი და შრომის წიგნაკი ფოსტით გაუგზავნა სახლში.

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით იმის აღწერას, თუ რამდენი წვალება და სირბილი დასჭირდა ეთერ კიკნაძეს, რომ გადაელახა მის წინაალმდეგ აღმართული კედელი და სიმართლისათვის მიეკვლია. და, აი, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1974 წლის გადაწყვეტილებით, იგი აღდგენილ იქნა თავის ადრინდელ სამუშაოზე სამი თვის განაცდური ხელფასის — 255 მანეთის ანაზღაურებით, რისი გადახდაც გ. სვანიშვილს დაეკისრა. სახალხო სასამართლომ იმსჯელა აგრეთვე გ. სვანიშვილის უკანონო მოქმედებაზე და მის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება, რაც სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა ა/კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებას.

თითქოს ყველაფერი კარგად დამთავრდა და სიმართლის ნერგმაც იხარა, მაგრამ რა დაავიწყებს ეთერ კიკნაძეს იმ ტანჯვა-წვალებაში გატარებულ 1 წელსა და 3 თვეს, როდესაც ორი უსუსური ბავშვით ხელში, უსულგულო, ბიუროკრატი ადამიანებისაგან გამწარებული, სიმართლეს დაეძებდა? მართალია, სვანიშვილის მოქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ განა ის დამნაშავე არაა? განა არ არსებობს ადამიანის ზნეობრივი კოდექსი, ის, რომელსაც ადამიანური სინდისი ჰქვია? ჰოდა, რა პასუხს აგებს ეს კაცი ამ კოდექსის მიხედვით?

**ზაალ მესხიშვილი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**





# სანამ ფარდა აიხდებოდეს

ჩვენ თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ვართ. შენობის გარეთა ხედით მოხიბლულებს, დარბაზში ამაღლებული განწყობილება გვეუფლება. გვხიბლავს არქიტექტორის ჩანაფიქრის გადაწყვეტა, გაფორმება, აკუსტიკა, შთამბეჭდავად და სრულად აღიქმევა ყოველი შემსრულებლის გამოსვლა, მსახიობთა ხელოვნება და ჩვენ ხადღესასწაულო გუნებაზე ვდგებით.

ამ დროს კი ხშირად არ გვაგონდება ადამიანები, რომლებმაც სულით და გულით მოამზადეს ეს ჩვენი განწყობა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სახეზე კმაყოფილების ღიმილი მოგვფენოდა.

სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს 300-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. ამათგან ნახევარზე მეტი ქალია. ისინი რომ ასე მონდომებით არ ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, იქნებ არც ჩვენ დავრჩენილიყავით კმაყოფილნი.

პირველად ბილეთი სალაროში უნდა შევიძინოთ. სალაროების მუშაობას განაგებს ბილეთების რეალიზაციისა და დაბანდების განყოფილების გამგე გუგული გოლეთიანი. რადგანაც მაყურებელი პირველად აქ მოდის, პირველ დახვედრას და გასტუმრებას მისი საღამოს განწყობილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გუგული გოლეთიანი თვალყურს ადევნებს სალაროების მუშაობას და ცდილობს არცერთი მაყურებელი არ წავიდეს უკმაყოფილო.

ბევრი საქმე აქვს საკონცერტო დარბაზის მთავარ ბუღალტერს თინა კუციას. ჩვენ ვერ ჩავწვდებით იმ საფინანსო საქმეში, რომელსაც თინა ანხორციელებს და ჩვენგან შეუმჩნევლად წარმართავს დიდებული კონცერტების მსვლელობას.

თამარ შავერდოვა ჯერ კიდევ საკონცერტო დარბაზის მშენებლობისას ახუფთავებდა ამ ტერიტორიას. ახლა კი ეს ბრწყინვალე შენობა გარედანვე ხიბლავს მომსვლელებს ეზო-კარმიდამოს სისუფთავით, სიკოხტავით, სიფაქიზით. ეს, რა თქმა უნდა, თამარის დამსახურებაა.

ელენე მიქაძე-ესიტაშვილს საკონცერტო დარბაზის კადრების უფროს ინსპექტორს წესრიგში აქვს ყოველი თანამშრომლის პირადი საქმე. იგი სამუშაოზე იღებს მოქალაქეებს, ურჩევს მათ პროფესიას, სწავლობს მათ პიროვნებას, ახალგაზრდობას ხელს უწყობს მუშაობის და სწავლის შეთავსებაში.

ტატიანა რობ-ქიძე, საკონცერტო დარბაზის დიასახლისი მკაცრი და მომთხოვნია მათ მიმართ, ვისაც დარბაზის დასუფთავებაევალება. ყველაფერი უნდა კრიალებდეს და ბზინავდეს, ასე ესმით ტატიანას და მისი ცვლის წევრებს მაყურებლის დახვედრა-მიღების წესი.

თინა შავგულიძე, უფროსი კონტროლიორი, რომელსაც ორმოცამდე თანამშრომელი ჰყავს, პირველ რიგში ღიმილს და თავაზიანობას თხოვს კარებში დამხვდურებს.

...და კიდევ ბევრნი დგანან სცენის უკან, რომელთაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ესენი არიან ინჟინრები — ნუნუ ხარქიხოვა და ლამზირა ჩხარტიშვილი, უფროსი მექანიკოსები — ლამარა ნარმანია და სვეტა ალთუნიანი, სართულის მორიგეები — გალინა გოჩიტაშვილი და თინა გაგნიძე... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

**ქ. ხანიაშვილი**

პატარებისათვის

**ამბროსი დოხნაძე**

* * *

ცუგას ზურგზე შეახკუპდა
ჩვენი ზაზა მკვეხარა:
— ნახეთ, თუ არ მოვიარო
ამით მთელი ქვეყანა.

მაგრამ იხიც ვერ მოახწრო
დაეძახა: — ნახვამდის!
გადმოვარდა და ლახლახით
ძლივს მოვიდა სახლამდის.

**ნელი დარსაველიძე**

### ტყეში

ბილიკ-ბილიკ,
ხერი, ხერა,
ტყეს ვეწვიეთ
მე და გელა.
ვითამაშეთ ტყეში ბევრი,
მოვიჯერეთ ამით გული,
დედიკოსაც წამოვუღეთ
ყვავილების თაიგული.

## მოსწავლეთა შემოქმედება

### მოდის გაზაფხული

მოდის გაზაფხული კეკლუცი, ნარნარი,
მოაქვს ყვავილების საამო სურნელი.
მოჰყავს ფრინველების ურიცხვი ლაშქარი,
მოაქვს სიხარული — ხალისი, ულევი.
მოდის გაზაფხული მზიანი, ნათელი,
ილვიძებს ბუნება, ირთვება ველები,
კვლავ ამუშავდება ბაღში და ვენახში
მშრომელი გლეხკაცის ნაცადი ხელები.
ირგვლივ დაგროვდება ხვავი და ბარაქა,
ბრწყინვალე მომავალს აანთებს მშრომელი.
ბაღნარად იქცევა ქვეყანა პატარა —
ჩემი საქართველო, გმირების მშობელი.

**გია კილასონია,**
ქარელის რაიონის სოფელ აბისის საშუალო სკოლის მოსწავლე.

### ჩემს კარგ მასწავლებლებს

გაზაფხულის სუნთქვა მესმის,
და ფრთოსანთა გალობა.
ეს ბუნებამ გაიღვიძა,
დაგელოცათ ქალობა.
თქვენი სითბო და ალერსი
ნეტავ, რას შევადარო!
სანატრელნო, საყვარელნო,
მზის სხივების სადარნო!
დაილოცოს ქვეყნად ყველა
კარგი მასწავლებელი.
ჩვენზე ფიქრით შევერცხლილი,
გულის გამხარებელი.
ბევრს გაჯავრებთ, მაგრამ წყენა
გულშიც არ გაიკაროთ,
გავიზრდებით, გასახელებთ,
სულ გარდავქმნით სამყაროს!

**მერაბ ბაბუხადია,**
თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# დიდებს, პატარებზე...

მშობელს რომ შვილი უყვარს და ყველაფერს აკეთებს მისი ჯანმრთელობისათვის, ამას მტკიცება რად უნდა, მაგრამ ხშირად ვუწევთ საკუთარ შვილებს დათვურ სამსახურს. ზედმეტი სიყვარულით დაბრმავებულნი ცივ ნიავს არ ვაკარებთ, ზომაზე მეტად ვუფრთხილდებით, ის კი გვავიწყდება, რომ ამით მათთვის მეტი ზიანი მოგვაქვს.

ჰიგიენისტი ექიმების ბოლო წლების გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ხერხემლის გამრუდება, მხრებში მოხრილობა და სხვა დეფექტები ხშირად გვხვდება პატარებში.

გარეგანი ფორმების დარღვევას შინაგან ორგანოთა ფუნქციების დაქვეითება მოსდევს. მხრებში მოხრილობისას ირღვევა ფილტვების ნორმალური მდგომარეობა, რაც თავის მხრივ აფერხებს გულის მუშაობას, ირღვევა სისხლის მიმოქცევა, ნივთიერებათა ცვლა და სხვ.

ბავშვის სუსტი ფიზიკური განვითარების მიზეზები ბევრია: არასწორი ჯდომა, წოლა, სიარული, ნაკლები ფიზიკური აქტივობა და ა. შ.

ბავშვი თითქმის დამოუკიდებლად სწავლობს სიარულს, სირბილს, ხტომას, ცოცვას, მაგრამ მოძრაობითი ჩვევების ჩამოყალიბებას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

მშობლები ორი ძირითადი შეცდომისაგან გვინდა დავიცვათ. ესაა ზედმეტი სიფრთხილე, ან პირიქით გადაჭარბებული გატაცება ფიზიკური ვარჯიშებით. ერთიც და მეორეც სახიფათოა. გვინახავს, როდესაც 5-6 წლის ბავშვებს მშობლები 2-3-კილოგრამიანი გირებით ავარჯიშებენ, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ არც მეორე უკიდურესობაა მიზანშეწონილი. უცხო ენებით, მუსიკით და ხელოვნებით გატაცების წინააღმდეგნი არა ვართ, პირიქით, მაგრამ, როდესაც ერთის ხარჯზე მეორე კლდება, ეს ბავშვის ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

3-4 წლის ბავშვს სიარული კარგა ხნის ნასწავლი აქვს, მაგრამ მას ჯერ კიდევ ფეხი ეშლება, სიარულის დროს ქანაობს, ხელებს შლის...

სკოლამდელებს უჭირთ ფეხებისა და მკლავების მოძრაობის შერწყმა, სიმაღლის დაძლევა, კიბეზე ასვლა...

ბავშვები ამ ასაკში სწრაფად იზრდებიან; ცენტრალური ნერვული სისტემა უკვე საკმაოდ განვითარებულია, პირობითი რეფლექსებით ფართო და მრავალმხრივი, ძვალკუნთოვანი აპარატი კი ზრდის პერიოდშია. ძვლები ამ დროს ხრტილოვან წარმონაქმნებს უფრო წარმოადგენენ. ამ ასაკში ბავშვები ადვილად ასრულებენ დრეკად მოძრაობებს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისა და ტანის სწორად დაჭერას, სწორ ჯდომას, დგომას, სიარულს... ამ პერიოდში ნაკლებადაა განვითარებული კუნთები, რომლებმაც უნდა დაიჭირონ ხერხემალი, ამიტომ ბავშვები წელში იხრებიან, იკუზებიან, რაც შემდეგ ჩვევაში გადადის.

ყველა ბავშვისათვის დამახასიათებელია აქტიური მოძრაობა, მაგრამ სასურველია ეს მოძრაობა წინასწარ გამიზნული იყოს. დილის ტანვარჯიშში მარტივი, მისაწვდომი ვარჯიშების გამოყენება, სიარული წონასწორობის დაცვით, სხვადასხვა მარტივი თამაშებისა და სავარჯიშო საგნების გამოყენება (ბურთი, ჯოხი, სახტომელა, სალტე). პატარებს განსაკუთრებით უყვართ მათთვის ნაცნობი ცხოველების მიბაძვა: პინგვინების სიარული, ბაჭიების ხტუნვა, პეპლების ფრენა... ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა დავიცვათ ზომიერება, ბავშვს ვარჯიში გავამეორებინოთ 3-4-ჯერ. ვარჯიშები შევარჩიოთ სხვადასხვა საწყის მდგომარეობაში — ჯდომელა, დგომელა, დაწოლილი და ა. შ. ისე რომ, დატვირთვა თანაბრად გავანაწილოთ მუცლის, წელის, ფეხებისა და სხვა კუნთებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხვირით სუნთქვას. ვარჯიშის დროს ბავშვები ხშირად იკავებენ სუნთქვას, ან პირით სუნთქავენ. რა თქმა უნდა, ბავშვისათვის ძნელია ცხვირით სუნთქვის სარგებლიანობის გაგება, ამიტომ აქ შეიძლება ხატოვან გამოთქმებს მივმართოთ, ასე მაგალითად, — ვინც ვარჯიშის დროს პირს არ მოკუმავს, მას პირღიას დაუძახებენ და ა. შ.

ბავშვის ფიზიკური აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ოჯახში.

გამოანგარიშებულია, რომ დღეს ჩვენ მოსწავლეთა დიდ ნაწილს დღეღამეში საშუალოდ 16-18 საათი ჯდომა ან წოლა უხდება (ძილი, სკოლა, გაკვეთილების მომზადება, უცხო ენები, მუსიკა და სხვ.). ამას დაუმატეთ თანამედროვე ბინების კარჩაკეტილობა, მშობლების მოუცლელობა, ფიზიკური ვარჯიშების უგულებელყოფა და სხვ. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე.

არის თუ არა გამოსავალი? — რა თქმა უნდა, არის. მივცეთ ბავშვს მეტი გასაქანი, ნუ შევზღუდავთ, ნუ დავუშლით მოძრაობას, დაე, ირბინოს, იხტუნოს, ითამაშოს, თუ დაეცემა და რამე მსუბუქად დაუშავდება, ამასაც ეშველება.

ბუნებრივად იბადება კითხვა: — რა ასაკიდან შეიძლება ბავშვის ვარჯიში? — დაბადების პირველი დღიდან! ახალდაბადებული ბავშვის პირველი ამოსუნთქვაც ხომ ვარჯიშით იწყება... 2-3 თვის ბავშვს თავისუფლად შეიძლება დავაწყებინოთ მარტივი მოძრაობების შესრულება, მკლავებისა და ფეხების მოხრა-გამართვა და სხვ. რა თქმა უნდა, ექიმისა და კვალიფიციური სპეციალისტის კონსულტაციის შემდეგ.

ამ ბოლო ხანებში უცხოეთის ბევრ ქვეყანაში და ჩვენთანაც ნორჩების გაჯანმრთელებისათვის წყალს იყენებენ. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბავშვი ცურვას გაცილებით უფრო ადრე სწავლობს, ვიდრე სიარულს. მრავალი ფაქტი არსებობს, როდესაც 6-8 თვის ბავშვები თავისუფლად ჩერდებიან წყალზე. ჩვენ ამ ექსპერიმენტების ავ-კარგიანობაზე ვერაფერს ვიტყვით. ისე კი, 5-6 წლის ბავშვს თავისუფლად შეგვიძლია დავაწყებინოთ ცურვის შესწავლა.

სრულებით არ არის საჭირო სპეციალური განათლება იმისათვის, რომ ბავშვს შესაფერისი ვარჯიშები შევურჩიოთ. კიდევ ერთი და რაც ყველაზე მთავარია, ნუ მოვერიდებით ბავშვის ჰაერზე ყოფნას ყოველგვარ ამინდში. ამავე დროს მუდმივი კონტროლის ქვეშ გყავდეთ ბავშვი სიარულის, ჯდომის, დგომის და სხვა საქმიანობის დროს.

უბრალო თვალითაც ადვილი შესამჩნევია ხერხემლისგამრუდების პირველი ნიშნები, დროულად მიღებული ზომები ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა.

**დოცენტი გ. ყირმელაშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ბოსტნეულის კერძები

დადგენილია, რომ საქართველოში თითო სულზე გაცილებით ნაკლები ხორცის პროდუქტები იხარჯება, ვიდრე სხვა რომელიმე რესპუბლიკაში. ეს მოვლენა უბრალოდ აიხსნება: ქართველ კაცს მეტისმეტად უყვარს მწვანილეული, ბოსტნეულის კერძები, ლობიო, იცის მათი დამზადების მრავალი საინტერესო წესი, ავიღოთ თუნდაც ფხალეული. ფხალს ჩვენ ვამზადებთ ნიგვზით, ერბოთი, ზეთით, მარტო საკაზმით და ძმრით და ა. შ.

გთავაზობთ ბოსტნეულის კერძების ორიოდე წესს.

### აჯაფსანდალი უბადრიჯნოდ

3-4 ცალი საშუალო ზომის ხახვი წვრილად დავკეპოთ და მოვშუშოთ ზეთში, გნებავთ, კარაქში ან ერბოში. ნახევარი კგ კარგი ჯიშის, უქაცვო, სარის ლობიო, ხალხი ქონალობიოს რომ უწოდებს, დავარჩიოთ, დავამტვრიოთ და გავრეცხოთ; გავფცქვნათ ერთი კგ ახალი კარტოფილი; სახეხზე გავხეხოთ ერთი კგ პამიდორი; დავჭრათ წვრილად: 2 კბილი ნიორი, გემოვნებით რეჰანი, ქონდარი და ოხრახუში, ერთი პარკი მწვანე წიწაკა (თუ მწვანე არა გვაქვს — წითელი, ოღონდ, ნახევარი პარკი); ყველაფერი ეს და მოშუშული ხახვი ერთმანეთში ავურიოთ და შევდგათ საშუალო ცეცხლზე მოსახარშად. პერიოდულად ვურიოთ, რომ ძირზე არ მიიწვას.

ასე შეიძლება დამზადდეს მარტო ლობიოც უკარტოფილოდ. ოღონდ ასეთი პროპორციით: 1 კგ ლობიო, 1 კგ პამიდორი, 3 თავი ხახვი, მწვანილი გემოვნებით.

### ფხალი სხვადასხვა მწვანილეულისაგან

ავიღოთ 100 გრამი ქინძი, 100 გრამი კამა, 200 გრამი ნიახური და ოხრახუში, 200 გრამი ახალი, ფოჩიანი ხახვი, 300-400 გრამი წითელი ფხალი. ყოველივე ამას, თქვენი გემოვნებით, შეგიძლიათ დაუმატოთ ყველა ის მწვანილი, რომელიც კიდევ ხელთა გაქვთ. ზემოთჩამოთვლილი მწვანილეულიდან (ქინძის გარდა). თუ რომელიმე გაკლიათ, არც ეს უშლის ხელს.

აადუღეთ 2-3 ჭიქა წყალი, ჩაყარეთ უკვე გარეცხილი და გამზადებული მწვანილეული და მოხარშეთ.

დანაყეთ 100 გრამი ნიგოზი, 3-4 კბილი ნიორი, წიწაკა გემოვნებით. როცა მოხარშული მასა გაცივდება, კარგად გაწურეთ და შეკაზმეთ. შეკაზმისას დაუმატეთ მარილი და ძმარი. ძმრის მაგივრად შეგიძლიათ იხმაროთ ბროწეულის ან ლიმონის წვენი.

## ფხვნილი თუ პასტა?

გაიღიმებს ზოგიერთი ლამაზი ქალი, მაგრამ ღიმილი მის სახეს სულ არ შვენის. მიზეზი კი დაზიანებული კბილია. კბილებისადმი უყურადღებობას, ჰიგიენური პირობებისა და პროფილაქტიკის უგულვებელყოფას აკი გაუკეთებია თავისი საქმე!

პირის ღრუსა და კბილების მოვლით შესაძლოა თავიდან ავიცილოთ ძალზე გავრცელებული დაავადებები — კბილების კარიესი და პარადონტოზი.

პირის ღრუში მუდამ ბუდობენ მიკრობები, რომლებიც მათთვის ხელსაყრელ პირობებში ავადმყოფობის გამომწვევი ხდებიან. ეს პირობები იქმნება იმ დროს, როცა ადამიანი კბილებს არ უვლის: საჭმლის ნარჩენები პირში მჟავდება და ლპება, რაც სხვა მიკრობებთან ერთად მოქმედებს კბილის მაგარ ქსოვილზე, იწვევს მის დაშლას. ეს ფაქტორები აგრეთვე ცუდად მოქმედებენ პირის ღრუს ლორწოვან გარსზე და, შედეგიც ნათელია — კბილის კარიესული დაავადება, ღრძილების ანთება — გინგუიტი და პარადონტოზი.

პირში ცუდი სუნისა და კბილებზე დანალექების მოსპობის მიზნით, ადამიანები ძველთაგანვე პირში ივლებდნენ სუფთა წყალს, რომელსაც ხანდახან არომატულ ნივთიერებებსაც უმატებდნენ. ხმარობდნენ კბილის საწმენდს, ჯაგრისს და სხვადასხვა ფხვნილებს. ყველაფერი ეს კბილს მექანიკურად წმენდდა, მაგრამ არ კურნავდა. კბილის ფხვნილი შედგება 98-99 პროცენტი ცარცის ნალექისა და ძალზე მცირე რაოდენობით მშაბავი და სურნელოვანი ნივთიერებებისაგან.

კბილის პასტები კი (გააჩნია რა შემადგენლობისანი არიან) მკურნალობენ და იცავენ კბილებს დაავადებისაგან. პასტებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ ფხვნილებთან შედარებით, მათ ამზადებენ ტუბებში, რაც ჰიგიენური და მოსახერხებელია. გარდა ამისა, პასტას აქვს სასიამოვნო გემო, საუკეთესო მწმენდავი თვისება, აგრილებს პირის ღრუს და სპობს ცუდ სუნს.

პასტის მთავარი უპირატესობა კი მაინც ის არის, რომ მათი მომზადება შეიძლება სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამატებით, კბილის ფხვნილში რაიმეს დამატება პრაქტიკულად შეუძლებელია. ტუბების გერმეტულობის გამო ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა წიწვის ქლოროფილო-კაროტინიანი პასტა, სამკურნალო მცენარეულის ექსტრაქტები, ზღვის წყლის მარილი, კალციუმის გლიცეროფოსფატი, ფლუორი, ფოსფატები, დიდხანს უცვლელნი რჩებიან.

სამკურნალო პასტები არა მარტო იცავენ კბილებს დაავადებისაგან, არამედ მკურნალობენ კიდეც მას. მთავარია პირის ღრუს სწორი მოვლა — ჰიგიენური საშუალებებისა და მეთოდების ინდივიდუალური შერჩევა, რაშიც ექიმი დაგეხმარებათ.

გთავაზობთ მცირე ინფორმაციას ჩვენი სამამულო კბილის პასტების სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების შესახებ.

ყველა სამამულო კბილის პასტიდან შეიძლება გამოიყოს ჰიგიენური (კოსმეტიკური, რომელიც მხოლოდ პირის ღრუს გაწმენდას ემსახურება): „მიატნაია“, „ხარკოვსკაია“, „ბორო-გლიცერინოვაია“, „აპელსინოვაია“, „დეტსკაია“, „იაგოდნაია“ და სამკურნალო-პროფილაქტიკური: „ლესნაია“, „ნოვაია“, „ჟემჩუგ“, „ბალზამ“.

ჰიგიენური კბილის პასტის ხმარება რეკომენდებულია იმ პირთათვის, რომლებიც არ უჩივიან კბილის დაავადებას. ვისაც ღრძილები და პირის ღრუს ლორწოვანი გარსი დაავადებული აქვს, უნდა იხმაროს კბილის პასტა „ლესნაია“, იგი შეიცავს ქლოროფილო-კაროტინიანი პასტას, რომელიც ნაძვის წიწვებისა და ტოტების ქარხნული წესით გადამუშავებით მიიღება. ეს პასტა პირის ღრუში ანთებად პროცესს აქრობს და ღრძილებიდან სისხლის დენას ამცირებს. ასეთივე თვისება ახასიათებს კბილის პასტა „ნოვაიას“, რომელიც დამატებით შეიცავს მუხის ქერქის ექსტრაქტს. ეს სასარგებლო დანამატი პასტას მატებს მშაბავ და მატონიზირებელ მოქმედებას.

კბილის პასტა „ბალზამი“ შეიცავს ზღვის რაფსს — კუიალნიცკის ლიმანის (ოდესის მახლობლად) წყლის ნივთიერებით გაჟღენთილს. ეს ხსნარი მდიდარია იოდის ნაერთებით, სხვადასხვა მარილებით და სასარგებლოა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით, ეს სამკურნალო დამატებები პასტას აძლევენ თვისებას — გააუმჯობესოს სისხლის მიმოქცევა და გააძლიეროს ნივთიერებათა ცვლა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქსოვილში, გაამაგროს ღრძილები, შეწყვიტოს სისხლის დენა. ზღვის წყალი კი კბილების ქვების წარმოქმნას უშლის ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილის პასტა „ბელო-როზოვაია" კბილებს აშორებს ნალექს. მის შემადგენლობაში შედის ფერმენტები და გოგირდმჟავა-მაგნეზია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ანთებადი პროცესების ჩაქრობა. ამ პასტის ხმარება უნდა დაიწყოთ, როცა კბილებიდან ქვებს მოიცილებთ.

ვისაც ბევრი კარიესული კბილი აქვს და კბილის მაგარი ნაწილის (ემალი, დენტინი) გადიდებული მგრძნობელობა აწუხებს, ვურჩევთ იხმაროს კბილის პასტა „ჟემჩუჟნაია", რომელიც კბილის კარიესზე პროფილაქტიკურად მოქმედებს, რაც მის შემადგენლობაში კალციუმის გლიცეროფოსფატის შეტანის შედეგია.

ამრიგად, პასტები უნდა ვიხმაროთ შერჩევით: მაგალითად, თუ კბილის ძირებთან ემალი გაცვეთილია და ამის გამო უსიამო შეგრძნება გაქვთ, „ბელო-როზოვაია" პასტის ხმარება შეუფერებელია, იმ შემთხვევაში კი თუ კბილებზე ქვები გაქვთ, ეს პასტა დიდად მოგიხდებათ.

თუ ჯანმრთელი, თეთრი, ლამაზი კბილები გაქვთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კბილებზე აღარ იზრუნოთ. ნუ დაიზარებთ, რეგულარულად, წელიწადში ორჯერ მაინც, გაესინჯოთ კბილის ექიმს პროფილაქტიკის მიზნით.

ბავშვებს პატარობიდანვე ასწავლეთ ჭამის შემდეგ ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყლის პირში გამოვლება, ხოლო სამი წლიდან — კბილის ჯაგრისის ხმარება. ბავშვებისათვის უშვებენ სპეციალურ პასტას, ესაა: „დეტსკაია", „მიატნაია", ქინძის ეთეროვანი ზეთითა და ვანილით შეზავებული „იაგოდნაია", ტკბილი ფორთოხლის ზეთით და საკვები ესენციებით შეზავებული — „ანანასოვაია", „კლუბნიჩნაია".

კბილები გაიწმინდეთ ჯაგრისის ვერტიკალური მოძრაობით — ზევიდან ქვევით, როგორც გარედან ისე შიგნიდან. ფხვნილით ან პასტით კბილების გაწმენდა საკმარისია დღეში ერთხელ დილით; საღამოთი, ძილის წინ კი, პირი გულმოდგინედ უნდა გამოირეცხოთ წყლით და ჯაგრისით.

ვ. ს. ვოროზიოვი,
სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირის ღრუს ჰიგიენის ჯგუფის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# აბა, გამოიცანი!

ეზოშია ათი იხვი,
რვაც ვარია ქოჩორა,
მათზე ექვსით უმცირესი
ზაქია და ბოჩოლა.
ყველა ერთად რამდენია
ცხოველი და ფრინველი.
პასუხს ველი, ყმაწვილებო,
ვინ ამოხსნის პირველი?

*

ოქროსფერი ჭუჭულები
ახვევია დედას,
ოთხი ფრთებქვეშ შეყუყულა,
ორსაც ზურგზე ვხედავ,
მაგრამ ბატი მდინარისკენ
რატომ იშვერს კისერს?
თურმე ერთი ნაბოლარა
ჭყუმპალაობს ისევ.
სულ რამდენი ჭუჭულია,
მიპასუხე, გისმენ.

*

კუნწულაზე აბია
ათი თეთრი ბალი,
თუ სამს მოწყვეტს მაია,
ორჯერ ორს კი — ლალი,
შენ რამდენი დაგრჩება,
შეანათე თვალი.

*

იქსს რომ ხუთი მივუმატოთ,
ოცდახუთი იქნება,
მაგრამ იქსი რამდენს უდრის,
იმას უნდა მიგნება.

*

ათი წუთი საშინაო
დავალება ვწერე,
ხუთი წუთით მეტი ხატვას
მოვანდომე მერე;
თხუთმეტ წუთში გავირეცხე
წინდები და კაბა;
ოცი წუთი „სახლობანა"
ვეთამაშე საბას.
სულ რამდენი დრო დამჭირდა,
მიპასუხე აბა.

*

გულთეთრა მერცხლებს კედელზე
რომ აქვთ თერთმეტი ბუდე,
ბარტყების გამოსაჩეკად
ხუთ-ხუთი კვერცხი უდევთ.
თუკი არ გაულაყდებათ
არცერთი კვერცხი ჩიტებს,
რამდენი კუდმაკრატელა
შეემატებათ კიდევ?

*

ძია ბენომ გიგას სახლში
ხურმა გამოატანა:
ორი წილი დიდრონია,
მესამე კი — პატარა.
ნაბოძები ხილის რიცხვი
თუკი ოცდაშვიდია,
თქვი, რამდენი პატარაა
და რამდენი დიდია?

*

ოქროსთვალა გვირილების
თეთრ წამწამებს ვთვლიდი:
ერთზე იყო ხუთი ცალი,
მეორეზე — შვიდი.
მესამეზე იმ ორივეს
ნახევარი გახლდათ.
მაშ რამდენი დამითვლია,
ის გავიგოთ ახლა.

შოთა ამირანაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე — „გოგონა", ნახატი თამრიკო ამირანაშვილისა (6 წლის); მეოთხე გვერდზე — ქ. თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის სასულე ორკესტრი. ფოტო ნორა ანთიძისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 18/IV-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/V-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 1643 უე 01929 ფასი 30 კაპ.

# ბავშვის ტანსაცმელი



ტანსაცმელი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის გემოვნების განვითარებაზე მისი ცხოვრების ადრეული პერიოდიდან. იგი ბავშვისათვის გარესამყაროს აღქმის თავისებური საშუალებაა. ტანსაცმლის მხატვრულ ღირებულებაზე და გამომსახველობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული მომავალში მისი უნარი სილამაზის სწორი შეფასებისა და ჩედვისა.

ბავშვს უყვარს ტანსაცმელი, თუ ის ლამაზი და მოხერხებულია, თუ მისი კაბა ყურადღებას იქცევს და გარშემომყოფთა მოწონებას იმსახურებს. ზოგჯერ ბავშვი იმდენად ეჩვევა თავის ტანსაცმელს, რომ დაძველებულსა და დაცვეთილსაც ველარ ელევა. თავისი ანცი, უზრუნველი ბუნების მიუხედავად, იგი მას განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდება და უფრთხილდება, რაც შემდგომში წესრიგის, სისუფთავისა და აკურატულობის ჩვევებს უმუშავებს. ამიტომ ბავშვისათვის ტანსაცმლის სწორ შერჩევას, როგორც ესთეტიკური, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

საბავშვო ტანსაცმელი საგრძნობლად განსხვავდება მოზრდილთა ტანსაცმლისაგან და სრულიად დამოუკიდებლად არსებობს. მაგრამ თანამედროვე მოდამ პატარების გარდერობზეც იქონია გარკვეული გავლენა — გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა იგი. მოზრდილებთან ერთად ახლა პატარა გოგონებიც ატარებენ შარვალს, ორი-სამი ნაწილისაგან შემდგარ კომპლექტებს და სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქსოვილის შეხამებით კომბინირებულ კაბებს. კვლავ მიიპყრობს პატარა „მეზღვაურების" ყურადღებას საზღვაო მოტივებზე შექმნილი კაბები და კოსტუმები. სახე იცვალა გამოსასვლელმა კაბებმაც, რომელიც ახლო წარსულში ხშირად კაპრონისაგან იკერებოდა და გოგონებს თოჯინებს ამსგავსებდა... ახლა, სასურველია, ბავშვი ნებისმიერ დღესასწაულს, განსაკუთრებით კი მისი ცხოვრების ყველაზე დიდ და სასიხარულო ზეიმს — დაბადების დღეს — შალის, ნატურალური აბრეშუმის, ბატისტის და სხვა ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლით შეხვდეს.

პატარების ტანსაცმელი უნდა იყოს უაღრესად მოხერხებული და ხალისიანი. გასაწყობი დეკორაციული ელემენტები ბავშვისათვის საინტერესო თემებზე უნდა იყოს, საკაბე ქსოვილი — მხოლოდ და მხოლოდ უბრალო, ადვილად გასარეცხი.

ფაქიზი გემოვნებითა და სიყვარულით შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვთა სიმრავლე, როგორც სარკე ისე ასახავს არა მარტო ოჯახისა და დედის სიკეთესა და მზრუნველ ხელს, არამედ მთელი ერისა და ხალხის სულიერ კულტურასა და ყოფის კეთილდღეობას.

ლ. ხვედელიძე



ИНДЕКС 76178